1971

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

8-9

აგვისტო

თბილისი—1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განვამტკიცოთ სოფლის სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 4 მაისის № 255 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1971 წლის 27 ივლისს მიიღეს ერთობლივი დადგენილება საქართველოს სსრ სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.

დადგენილება საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს ავალებს:

— შეიმუშაონ და განახორციელონ 1971-1975 წლებში ყოველ სასოფლო რაიონში ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას, სასკოლო ინტერნატების ქსელის გაფართოებას და მოსწავლეთა გადაყვანას ტრანსპორტით შორეული დასახლებული პუნქტებიდან სკოლაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 სექტემბრის № 545 დადგენილების შესაბამისად;

— დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს, რომლებიც თავიანთი ინიციატივით და საკუთარი სახსრებით აშენებენ სასკოლო შენობებს, სასკოლო ინტერნატებს მოსწავლეებისათვის და საცხოვრებელ სახლებს მასწავლებელთათვის, განათლების სამინისტროსთან შეთანხმებული პროექტებით, იმ მხრივ, რომ უზრუნველყონ აღნიშნული მშენებლობანი საჭირო საშენი მასალებით, სოფლის სკოლები და სასკოლო ინტერნატები—ავეჯით და სასწავლო-მოწყობილობით;

— გადაწყვიტონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფრო რაციონალურად განლაგების საკითხი, უზრუნველყონ 1971-1972 სასწავლო წლის დამდეგისათვის მცირეკომპლექტიანი სკოლების შემდგომი შემცირება და კლასებში მოსწავლეთა რაოდენობის გადიდება;

— განსაზღვრონ მიმდინარე წლის დამლევამდე თვითეულ რაიონში დაწყებითი სკოლები, რომლებიც უნდა გამსხვილდეს და გაუქმდეს 1972-1975 წლებში ისე, რომ არ გაუარესდეს მოსახლეობის მომსახურება;

1971-1972 სასწავლო წლის დაწყებამდე განახორციელონ კონტროლი კლასების დაკომპლექტებისადმი ყოველ სკოლაში იმ ანგარიშით, რომ თავიდან იქნეს აცილებული მცირეკომპლექტიანი კლასების დაუსაბუთებლად გახსნა და შემდეგში სისტემატური კონტროლი გაუწიონ მათ სწორად დაკომპლექტებას;

მიიღონ ზომები, რათა აუცილებლად შესრულდეს ბავშვთა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონი და დამთავრდეს 1975 წელს საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა;

— რვაწლიანი სკოლების შემდეგი გარდაქმნა საშუალო სკოლებად აწარმოონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეყოლებათ მოსწავლეთა საკმაო კონტინგენტი მე-9 კლასების გასახსნელად, თუ ექნებათ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (შენობა, გაწყობილი სასწავლო კაბინეტები) და ეყოლებათ კვალიფიციურ პედაგოგთა კადრები.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს ეკისრებათ;

— უზრუნველყონ 1971-1975 წლებში მოქალაქეებისაგან იჯარით აღებულ საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები ყველა მასწავლებელი კეთილმოწყობილი კომუნალური ბინებით;

— გააუმჯობესონ სასკოლო ინტერნატებში მცხოვრებ მოსწავლეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, ავრეთვე უზრუნველყონ ბავშვთა სათანადო ზედამხედველობა;

სამი თვის ვადაში მოაწყონ სახალხო განათლების და სტატისტიკის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად სკოლების, მათ შორის სოფლის სკოლების, აღრიცხვა, რომლებიც იმყოფებიან ავარიულ,

გამოუსადეგარ და დაქირავებულ შენობებში, განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული ფორმის მიხედვით;

— ცეკავშირის გამგეობასთან ერთად მიიღონ ზომები, რათა გაუმჯობესდეს სოფლად ვაჭრობა მოსწავლეთა ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით, აგრეთვე სასკოლო-სასწავლო ნივთებით; უზრუნველყონ სოფლის სკოლების მოსწავლეთა კვების გაუმჯობესება, აგრეთვე, მოაწყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებულ ინტერნატებში მცხოვრები მოსწავლეებისათვის სამჯერ ცხელი კვება სკოლა-ინტერნატებში მოქმედი ნორმების მიხედვით როგორც მშრომელთა ხარჯზე, ისე იმ სახსრების ხარჯზე, რომლებსაც ამ მიზნ სათვის გამოყოფენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები და ორგანიზაციები.

განათლების სამინისტროს დავალებული აქვს:

— განამტკიცოს რვაწლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, შექმნას თვითეულ მათგანში კარგად გაწყობილი სასწავლო კაბინეტები;

— წარუდგინოს ფინანსთა სამინისტროს განცხადება იმის შესახებ, რომ 1971 წლის 1 სექტემბრიდან შემოღებულ იქნეს სახალხო განათლების განყოფილებათა სასოფლო რაიონული მეთოდური კაბინეტების შტატებში სოფლის დაწყებითი სკოლების მეთოდისტთა საშტატო ერთეულები შემდეგი ანგარიშით: ერთი მეთოდისტი—20-25 დაწყებითს სკოლაზე;

— განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი, რათა ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა აიღონ შეფობა სოფლის სკოლებზე და მათ დახმარება გაუწიონ სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესებაში.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, განათლების, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა გაითვალისწინონ წლიური სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტებში სოფლად სკოლის შენობების მშენებლობის დავალებანი (სასკოლო შენობების მშენებლობის გეგმის ფარგლებში), ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ საჭიროა გამოიყვანონ 1971-1975 წლებში სოფლის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა უვარგისი და იჯარით აღებული ბინებიდან, აგრეთვე შეამცირონ მეცადინეობის ცვლიანობა ამ სკოლებში; განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ სასკოლო ინტერნატების მშენებლობას;

— გაითვალისწინონ იმ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ყოველწლიურ გეგმებში, რომლებიც საიჯარო წესით სრულდება, სასკოლო შენობების მშენებლობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებით, ამასთან მხედველობაში მიიღონ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროების წინადადებანი;

— შეიტანონ სოფლის სასკოლო შენობების მშენებლობა მშენებლობის და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების სამშენებლო ორგანიზაციების საიჯარო სამუშაოთა გეგმებში.

კომისიას შემდეგი შემადგენლობით: გოგიჩაიშვილი, ჯაფარიძე, დულაშვილი, ღვინჯილია, ლაბახუა, ლაშქარაშვილი, რთველიაშვილი, ზერქეზია დაევალა შეისწავლოს საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია კოლმეურნეობებისა და სხვა არაცენტრალიზებული სახსრების მოზიდვა სოფლის სკოლების მშენებლობისათვის მიმდინარე ხუთწლედში, და წარმოადგინონ წინადადებანი.

„სახმშენმა" გაითვალისწინოს 1973-1974 წლების გეგმების პროექტებში, რომ „საქსოფლმშენსახპროექტმა" შეიმუშაოს სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობათა პროექტები სხვადასხვა ექსპერიმენტული ვარიანტებით ისე, რომ ეს შენობები განლაგდეს რთულრელიეფიან ნაკვეთებზე და ამოყვანილ იქნეს ქედლები ადგილობრივი საშენი მასალებისაგან.

საშუალო სკოლების რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით და იმ მიზნით, რომ შემდგომ გაფართოვდეს ბავშვთა სწავლების ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება სკოლებში, ფინანსთა და განათლების სამინისტროებმა გაითვალისწინონ განათლების სამინისტროს 1972 წლის ბიუჯეტის პროექტში ასიგნებათა გადიდება ერთ მილიონ მანეთამდე სასწავლო მოწყობილობის შესაძენად.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გაითვალისწინონ ადგილობრივ ბიუჯეტებში განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით სახსრების გამოყოფა ფიზკულტურული დარბაზების, სპორტული სკოლების და სკოლებთან კომპლექსური სპორტული მოედნების მშენებლობისათვის გასავალზე შემოსავლის გადამეტების ხარჯზე დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების გეგმის მიხედვით

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ პედაგოგიურ ინსტიტუტებში კონკურსგარეშე მიიღოს განათლების სამინისტროს განაცხადებით სოფლის საშუალო სკოლების კურსდამთავრებულები იმ რაიონებიდან, რომლებიც განიცდიან კვალიფიციური კადრების მწვავე ნაკლებობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებული იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 4 მაისის № 255 დადგენილების შესაბამისად ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პენსიაზე გადასულ მასწავლებლებს, აღმზრდელებს, დირექტორებს, დირექტორთა მოადგილეებს და სხვა პედაგოგ მუშაკებს და მათთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებს შეუნარჩუნდებათ იმის უფლება, რომ უფასოდ ისარგებლონ ბინით, გათბობით და განათებით, თუ თითოეული აღნიშნული მუშაკის სოფლის სკოლებში მუშაობის საერთო სტაჟი შეადგენს სულ მცირე 10 წელს.

საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა და განათლების სამინისტრომ 1972 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს უნდა მოახსენონ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა „**საქართველოს სსრ სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ**“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 ივლისის დადგენილება.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ ეს დადგენილება კონკრეტულ პროგრამას სახავს სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შემდგომი განვითარების მიმართულებით, უზრუნველყოფს მეცხრე ხუთწლედში სოფლადაც სრულად განხორციელდეს საყოველთაო საშუალო განათლების გატარების შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად ამაღლდეს სწავლების ხარისხი.

კოლეგიამ დაადგინა:

აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ადგილობრივ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებით:

ა) ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ეს დადგენილება ფართოდ გააცნონ ადგილობრივ პედაგოგიურ კოლექტივებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებსა და მშრომელთა საზოგადოებრიობას;

ბ) მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლომდე სტატისტიკურ ორგანოებთან ერთად ზუსტად აღრიცხონ ავარიულ, შეუფერებელ და დაქირავებულ შენობებში არსებული სკოლები, გაითვალისწინონ სოფლის სკოლების, სასკოლო ინტერნატებისა და მასწავლებელთა სახლების მშენებლობაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების მაქსიმალურად გამოყენება და ამის მიხედვით შეიმუშაონ მიმდინარე ხუთწლედში სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების კონკრეტული გეგმა წლების მიხედვით. აღნიშნული გეგმა წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს ა/წ 15 დეკემბრამდე;

გ) განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა 1972-1975 წლებში სოფლის ყველა სკოლა მოთავსდეს შესაფერის შენობებში; მიაღწიონ სწავლის ცვლიანობის მკვეთრად შემცირებას, სასკოლო ქსელის რაციონალურად განლაგებას და სკოლების აღჭურვას სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და ავეჯის სრული კომპლექტით;

დ) გაატარონ საჭირო ღონისძიებები მცირეკომპლექტიანი სკოლების ქსელის შემცირებისა და სკოლების გამსხვილების მიმართულებით; ამასთან მხედველობაში მიიღონ, რომ სკოლის გაუქმებამ არ გააუარესოს ბავშვთა მომსახურება;

ე) უზრუნველყონ სასკოლო ინტერნატებში მცხოვრები მოსწავლეების სამჯერადი კვება სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთათვის დაწესებული ნორმების მიხედვით, მიაღწიონ ამ საქმეში მშობლების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმო-დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ფართო მონაწილეობას; ამას-

თან არსებითად გააუმჯობესონ სასკოლო ინტერნატებში მცხოვრებ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობები;

ვ) გაატარონ საჭირო ღონისძიებები, რათა სოფლის არცერთი სკოლა არ დარჩეს ქალაქის სკოლების მხრივ შეფობის გარეშე და ამ შეფობას საქმიანი ხასიათი მისცენ (სასწავლო კაბინეტების მოწყობა-გამდიდრება, სისტემატური მეთოდური დახმარება სანიმუშო გაკვეთილების ჩატარებით და ა. შ.);

ზ) საგანგებო ზომები მიიღონ ადგილობრივი სახსრებით სკოლების უზრუნველყოფის მიზნით სპორტული დარბაზებით და კომპლექსური სპორტული მოედნებით;

თ) ყურადღების ცენტრში დააყენონ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმე, მიაღწიონ იმას, რომ 7-16 წლის ასაკის არცერთი მოზარდი არ დარჩეს სკოლის გარეშე, ხოლო ყველა რვაკლასდამთავრებული აგრძელებდეს სწავლას სხვადასხვა ტიპის საშუალო სასწავლებლებში;

ი) ჩაატარონ სათანადო მუშაობა იმ მიზნით, რათა სკოლების მშენებლობასა და კეთილმოწყობაში აქტიურ შრომით მონაწილეობას ღებულობდნენ საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეები.

საგეგმო-საფინანსო სამმართველომ:

ა) კაპიტალური მშენებლობის განყოფილებასთან ერთად რაიონებიდან მიღებული მასალების საფუძველზე წლის ბოლომდე მოამზადოს და წარმოადგინოს წინადადებები მიმდინარე ხუთწლედში სოფლად სკოლებისა და სასკოლო ინტერნატების მშენებლობაში კოლმეურნეობებისა და სხვა არაცენტრალიზებული სახსრების გამოყენების შესახებ;

ბ) ყველა იმ სოფელში, სადაც სასკოლო შენობის, მასწავლებელთა კადრებისა და მოსწავლეთა კონტინგენტის მხრივ არსებობს სათანადო პირობები, დროულად გაითვალისწინოს დაწყებითი სკოლების რვაწლიანად და რვაწლიანი სკოლების საშუალო სკოლებად გადაკეთება;

გ) ამასთან პარალელურად გაატაროს ღონისძიებანი, რათა სუსტი სასწავლო-მატერიალური ბაზის მქონე სკოლები გაერთიანდნენ კეთილმოწყობილ რვაწლიან და საშუალო სკოლებთან; გააძლიეროს კონტროლი კლასების დაკომპლექტებისას დაწესებული ნორმების დასაცავად;

დ) დროულად წარუდგინოს ფინანსთა სამინისტროს განაცხადი 1971 წლის 1 სექტემბრიდან სოფლის რაიონების განათლების განყოფილებათა მეთოდურ კაბინეტებში დაწყებითი სკოლების მეთოდისტების შტატების გამოყოფის შესახებ;

ე) სასწავლო კაბინეტების კეთილმოწყობისა და სწავლებაში ახალი ტექნიკური საშუალებების დანერგვის მიზნით გაითვალისწინოს ბიუჯეტში სასწავლო მოწყობილობის შესაძენი ხარჯების გადიდება.

განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ:

ა) ყოველწლიურად წარუდგინოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს განაცხადი უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში სოფლის იმ რაიონების მკვიდრთა უკონკურსოდ ჩარიცხვის შესახებ, სადაც პედაგოგიური კადრების ნაკლებობაა;

ბ) განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად სისტემატურად შეისწავლოს სოფლის მასწავლებელთა კომუნალური პირობები და მიიღოს საიმისო ზომები, რათა მასწავლებლობა დროულად სარგებლობდეს კანონმდებლობით დაწესებული შეღავათებით;

გ) სისტემატური ზედამხედველობა დააწესოს, რათა დროულად და მაღალხარისხოვნად სრულდებოდეს სოფლის მასწავლებელთა გადამზადების დარგში დასახული გეგმები.

კოლეგიის ამ დადგენილების შესრულებაზე სისტემატური კონტროლი დაეკისროს განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილება

ქ. თბილისის ორჯონიკიძის, საგარეჯოს, თერჯოლის, ლანჩხუთისა და ხაშურის რაიონებში ახალი 1971-1972 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა მზადების შესახებ

აღინიშნა, რომ ქ. თბილისის ორჯონიკიძის, საგარეჯოს, თერჯოლის, ლანჩხუთისა და ხაშურის რაიონების განათლების ორგანოები, პროფესიული ორგანიზაციები სკოლები და სხვა საბავშვო დაწესებულებები ახალი, 1971-1972 სასწავლო წლისათვის მზადებას დროულად შეუდგნენ, წარმოება-დაწესებულებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გარკვეულ მონაწილეობას იღებენ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად. ქ. თბილისის, ორჯონიკიძის რაიონის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების რემონტისა და ინვენტარის შესაძენად საშეფო ორგანიზაციებმა დახარჯეს 142,000 მანეთი. ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებით შენდება წყალწმინდის საშუალო სკოლის II კორპუსი (32.000 მან.), ჭონათის დაწყებითი სკოლის შენობა (12.000 მან.), გულიანის 8 წლიანი სკოლის შენობა, ლანჩხუთის სპორტული სკოლა კი შენდება რაიონის სახსრების ჭკონომიიდან. მაგრამ ასე, როდი ითქმის ხაშურისა და საგარეჯოს რაიონებზე, აქ შეფი ორგანიზაციები ნაკლებად ან სრულებით არ არიან ჩაბმული სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობის საქმეში. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 150-ე (თხილიანის ქუჩა) და 151-ე (ვაჟა-ფშაველას შე-2 კვარტალში) სა-

შუალ ო სკოლების მშენებლობა თითქმის მთავრდება. 150-ე საშუალო სკოლის სასწავლო კორპუსში მიმდინარეობს შიგა სამუშაოები, რომელიც შეიძლება დამთავრდეს 1/IX-სათვის; ხოლო მე-2 კორპუსი, სადაც გათვალისწინებულია სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების მოწყობა შეიძლება დამთავრდეს 1972 წლის I-ლი იანვრისათვის. აღნიშნული სკოლები ჯერ სრულად არ არიან უზრუნველყოფილი დგამ-ავეჯით და სასწაკლო მოწყობილობით.

თერჯოლის რაიონის სოფ. ეწერში მთავრდება სკოლის მშენებლობა, მაგრამ სკოლას არ გააჩნია საჭირო თანხები დგამ-ავეჯისა და სასწავლო ხელ'აწყოების შესაძენად. ასევე მთავრდება ხაშურის მე-3 საშუალო სკოლაზე 21 საკლასო ოთახის მიშენება, ასეთივე მდგომარეობაშია ლანჩხუთის 11 საშუალო სკოლისა და ნინოშვილის 8 წლიანი სკოლების მშენებლობა.

რაც შეეხება ლანჩხუთის ბაგა-ბაღის მშენებლობის სამუშაოები დრობებით შეჩერებულია.

ხაშურის რაიონში კაპიტალური რემონტი უნდა ჩატარებოდა 22 სკოლასა და საბავშვო დაწესებულების შენობას, კაპიტალური რემონტი დამთავრებული იყო მხოლოდ 6 სასკოლო შენობისა. ზოგიერთ სკოლაში შესრულებული სამუშაოების ხარისხი დაბალია. მაგ. გომის საშუალო სკოლის შენობის რემონტი შესრულებულია დაბალხარისხოვნად, ხაშურის I-ლი საშუალო სკოლის იატაკი შეღებილია დაბალხარისხოვანი საღებავით ასევე სათანადო ხარისხით არ შენდება საგარეჯოს მესამე საშუალო სკოლის შენობა.

ავარიულ მდგომარეობაშია თერჯოლის რაიონის ძევრის და ღვანკისის 8 წლიანი სკოლების შენობები, ძველ, უვარგის შენობებშია ქვედა- სიმონეთის საშუალო და თაფარის 8 წლიანი სკოლები.

სკოლებში არ არის გაფორმებული სასწავლო სახელოსნოებისა და კაბინეტების მზადყოფნაზე აქტები. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 57-ე საშუალო სკოლაში საზეინკლო სახელ ოსნო არ შეუკეთებიათ, 63-ე საშუალო სკოლაში სახელოსნო მოთავსებულია ფარდულში, რომლის სახურავი შესაცვლელია, ქიმიის კაბინეტის საპრეპარატო ოთახის იატაკი შესაკეთებელია, არ არის სადემონსტრაციო მაგიდა.

აღნიშნული რაიონების სკოლების დიდ უმრავლესობაში არაა გახსნილი ბუფეტები. საგარეჯოს რაიონის სკოლებისათვის უნდა შეეძინათ დგამ-ავეჯი 3.200 მან. ღირებულების, შეძენილია მხოლოდ 1805 მანეთის. ამავე რაიონის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებულია 59.500 მან. 1 აგვისტოსათვის ათვისებულია მხოლოდ 22356 მანეთი. მიმდინარე შეკეთებაზე უნდა დახარჯულიყო 10.922 მან. დახარჯულია 9.306 მანეთი. არაა შესრულებული სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმა. ლანჩხუთის რაიონს გეგმით უნდა შეეძინა 168 დასახელების 45264 ცალი სახელმძღვანელო, შეძენილია მხოლოდ 78 დასახელების 27.084 ცალი სახელმძღვანელო. საგარეჯოს რაიონს ნაცვლად 309 დასახელების 53.673 ცალი სახელმძღვანელოსი შეძენილი აქვს 234 დასახელების 43.665 ც. სახელმძღვანელო, თერჯოლის რაიონში შეზიდული იყო მხოლოდ 101 დასახელების სახელმძღვანელო. ხაშურის რაიონში კი შეძენილი აქვს ნაცვლად 105 დასახელების სახელმძღვანელოსი 95. საჭირო მუშაობა არ სწარმოებს ნახმარი სტაბილური სახელმიღვანელოების შესაძენად და სასკოლო ბიბლიოთეკათა სახელმძღვანელოების ფონდის შესაქმნელად. ლანჩხუთის, თერჯოლის, ხაშურის და საგარეჯოს რაიონებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მცირეკომპლექტიანი სკოლების არსებობას. დიდია სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაგან საგრძნობი ნაწილი არსად არ სწავლობს. სკოლიდან მოსწავლეთა განთავისუფლების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად კვლავ რჩება მეორეწლიანობა. 1970/1971 სასწავლო წლის შედეგების მიხედვით გაზაფხულზე იმავე კლასში დატოვებულია საგარეჯოს რაიონში 316 ბავშვი, საშემოდგომო გამოცდა მიეცა 654-ს, ზესაბამისად ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონში დატოვებული იქნა 264, საშემოდგომო გამოცდა მიეცა 1463, ლანჩხუთის რაიონში 120,549, ხაშურის რაიონში—202,760, თერჯოლის რაიონში 115,884 ბავშვს. რიგი გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, აღნიშნული რაიონების სკოლებში დიდია მეორე ცვლაში მომეცადინე მოსწავლეთა რაოდენობა. სახელდობრ მეორე ცვლაში მეცადინეობს: ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონში—9248 ბავშვი (მესამე ცვლაში კი მეცადინეობს—666 ბავშვი), ასევე საგარეჯოს რაიონში მეორე ცვლაში—3398, თერჯოლის რაიონში—2450, ხაშურის რაიონში—2663, ლანჩხუთის რაიონში—722 ბავშვი. 1971/1972 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების წარ-

ბატებით მომზადების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი ადგენენ:

1. ქ. თბილისის ორჯონიკიძის, ლენინის, საგარეჯოს, ხაშურისა და თერჯოლის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ძ. რეხვიაშვილი, ვ. ჩიკაშუა, ა. ელერდაშვილი, ჟ. ნადირაძე, ს. გაბრიჭიძე) და განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომების თავმჯდომარეებმა (ქ. ჭიჭინაძე, ა. ვადაჭკორია, ს. ხაჩატურიანი, შ. ლაბაძე, და ნ. ქორიაშვილი):

ა) მაქსიმალურად გამოიყენონ დარჩენილი დრო და უზრუნველყონ 1971-1972 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულების სათანადო მომზადება;

ბ) ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებების თაოსნობას ახალი სასკოლო შენობების მშენებლობისა და არსებულ სასკოლო შენობებზე საკლასო ოთახების მიშენების სამუშაოების ფართოდ გაშლაში;

გ) დადგენილ ვადებში მოამზადონ სკოლები და საბავშვო დაწესებულებები ზამთრისათვის საჭირო სათბობით, სრულ წესრიგში მოიყვანონ გათბობის სისტემა;

დ) ყველა ზომა მიიღონ, რათა რაიონებში დროულად შეხიდონ სკოლებისათვის განკუთვნილი ყველა დასახელების სახელმძღვანელოები, პროგრამები, რვეულები, თვალსაჩინო ხელსაწყოიარაღები, რეაქტივები და სხვა სასწავლო ნივთები;

ე) განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი საყოველთაოსავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონისა და საშუალო საყოველთაო განათლების კანონის გასატარებლად. ზუსტად აღრიცხონ 7 წლისა და სკოლის გარეთ დარჩენილი სასკოლო ასაკის ბავშვები და გადამჭრელი ზომები მიიღონ მათ სწავლებაში ჩაბმისათვის;

ვ) ყოველდღიური კონტროლი დააწესონ საღამოს (ცვლის) სკოლების სახალხო სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული ქსელისა და კონტინგენტის შესრულებაზე;

ზ) გადამჭოელი ზომები მიიღონ 1971 წლის 1 სექტემბრამდე ექსპლოატაციაში გადასაცემი ობიექტების დროულად დამთავრე-

ბისათვის. გამოავლინონ ჩამორჩენის მიზეზები და მიიღონ ზომები მათ გამოსასწორებლად;

თ) სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიონ სკოლებს 1972 წლის სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული სასკოლო ქსელის გაშლისა და დატვირთვის საქმეში. მხედველობაში იქონიონ არსებულ სასკოლო შენობებზე საკლასო ოთახების მიშენებისა და რეკონსტრუქცია-გაფართოების ხარჯზე მცირე დატვირთვის მქონე პარალელური კლასების შეერთება, აგრეთვე უზრუნველყონ მცირე კომპლექტიანი სკოლების შემდგომი შემცირება და მოსწავლეთა რაოდენობის გადიდება კლასებში.

ი) დასახონ ღონისძიებანი სკოლებში, სადაც ამის შესაძლებლობა არის, სასადილოებისა და ბუფეტების გახსნისათვის და ადგილობრივ სავაჭრო ორგანოებთან ერთად იზრუნონ სკოლების ბუფეტებისა და სასადილოების მაღალ ხარისხოვანი პროდუქტებით მომარაგებისათვის.

2. ლანჩხუთის, საგარეჯოს, ხაშურისა და თერჯოლის რაიონების განათლების განყოფილებებმა ყველა ზომა მიიღონ სოფლის სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების თაობაზე არსებულ დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 20 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე	განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. იოსელიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 3 აგვისტოს ბრძანება № 429

თეთრიწყაროს, თიანეთის, კასპის, ყაზბეგის, დმანისის და ლენტეხის რაიონებში საყოველთაო 8 წლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შეხახებ

ხელმძღვანელ ორგანოებში საყოველთაო სავალდებულო 8 წლიანი სწავლების კანონის განხორციელების საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ ამ საქმეში თეთრიწყაროს, დმანისის, კასპის, ყაზბეგის, თიანეთის და ლენტეხის რაიონებში ჯერ კიდევ სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი.

შემოწმებით გამოირკვა, რომ აღნიშნული რაიონების სკოლებში სასკოლო ასაკის ბავშვთა აღწერის მასალები არ არის შედარებული საკომლო წიგნების ჩანაწერებთან და სწავლებაში ფაქტიურად ჩაბმულ მოსწავლეთა სიებთან. სკოლის ასაკის ბავშვთა ზუსტი სიების შედგენას აძნელებს საკომლო სიების არასწორი ჩანაწერები, ბევრი ცნობა ბავშვთა შესახებ (დაბადების წელი და თვე, სახელი, გვარი, მამის სახელი) საკომლო სიებში შეტანილია ზეპირი განცხადების საფუძველზე და არ ემყარება დაბადების მოწმობის მონაცემებს. ამ მხრივ ძალზე ცუდი მდგომარეობაა ლენტეხის რაიონის ჟახუნდრის, ხედის, კასპის რაიონის ოკამის, ქვემო ჭალის, კოდისწყაროს, ზემოხანდაკის, თიანეთის რაიონის ხევსურთსოფლის, არტნის, ღულელების, ზარიძეების სასოფლო საბჭოებში.

ამასთან სასოფლო საბჭოებს საკომლო წიგნებში შეტანილი ჰყავთ ისეთი ბავშვები, რომლებიც არ ცხოვრობენ მოცემულ სასოფლო საბჭოში და ზოგიერთს არც არასოდეს უსწავლია ამ სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებულ რომელიმე სკოლაში. განათლების განყოფილებებისა და სკოლების ხელმძღვანელები კი ვერ აღწევენ იმას, რომ სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა გადა-

სინჯონ საკომლო წიგნებში არასწორად შეტანილი ცნობები ბავშვების შესახებ და სიიდან ამოიღონ ისინი, რომლებიც საცხოვრებლად სხვაგან არიან გადასულნი; იქონიონ ზუსტი ცნობები ასეთი ბავშვებია სწავლის შესახებ. შემოწმების დღისათვის ყაზბეგის რაიონის ყველა სასოფლო საბჭოს საკომლო წიგნში ჩაწერილი იყო 228 ბავშვი, რომელთაც ყაზბეგის რაიონის სკოლებში არასოდეს არ უსწავლიათ, ასეთივე აღმოჩნდა კასპის რაიონში—190, თიანეთის რაიონში—147. ლენტეხის რაიონში—126 ბავშვი.

სკოლების დირექტორები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას სხვა სკოლაში გადასვლის მიზეზით სკოლიდან გასული მოსწავლეების მიმართ, არ აცნობებენ განათლების განყოფილებებს რაიონის შიგნით სხვა სკოლაში მოსწავლეთა გადასვლის შემთხვევებს, არ ამოწმებენ ნამდვილად სწავლობს თუ არა მოსწავლე იმ სკოლაში, სადაც გადავიდა და ზოგჯერ არც მეორე სკოლის დადასტურება აქვთ ამ საკითხზე. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება კი ხელს უწყობს მოსწავლეთა გაფანტვას სკოლებიდან. ასე, მაგალითად, კასპის რაიონის ოვლეს საშუალო სკოლიდან (დირექტორი ზ. გოგილაშვილი) თითქოს ხიდისთავის № 15 პროფტექნიკურ სასწავლებელში გადასულია 2 ბავშვი. შემოწმებით დადასტურდა, რომ მათ არასოდეს არ უსწავლიათ აღნიშნულ პროფტექნიკურ სასწავლებელში. საქადაგიანის 8 წლიანი სკოლიდან (დირექტორი ა. მეზურნიშვილი), მცხეთის რაიონის ქსნის საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. ჯიოკვალიშვილი) განთესილია 3—3 მოსწავლე.

შეუსრულებელია მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო სამეურნეო გეგმა; 1970/1971 სასწავლო წელს დმანისის რაიონის სკოლების I—VIII კლასებში გეგმით უნდა ყოფილიყო 11570 ბავშვი, ფაქტიურად კი 1970 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით ირიცხებოდა 11498 მოსწავლე, ხოლო ყაზბეგის რაიონის სკოლებში ნაცვლად 1135 მოსწავლისა 1014, კასპის რაიონში—10493-ის ნაცვლად—10363, თეთრიწყაროს რაიონში—7709-ის ნაცვლად 7585, ლენტეხის რაიონის სკოლებში კი გეგმით გათვალისწინებული 2650 ბავშვის ნაცვლად სწავლობს 2615 ბავშვი. განათლების განყოფილებებისა და სკოლების ხელმძღვანელები [illegible] ღონისძიებებს არ ატარებენ მოსწავლეთა კონტინგენტის [illegible] ჩუნებლად. გასული 1969/1970 სასწავლო წლის განმავლობაში [illegible] დმანისის რაიონის სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტი 245-ით [illegible] წავლით შემცირდა, თეთრიწყაროს რაიონის სკოლების მოსწავლე-

2.

თა კონტინგენტი ამავე პერიოდში შემცირდა 264 მოსწავლით, კასპის რაიონში—148, ლენტეხის რაიონში—93, თიანეთის რაიონში—82, ხოლო ყაზბეგის რაიონში—55 მოსწავლით შემცირდა. დმანისის რაიონის სკოლებიდან გასული არიან ავადმყოფობით და სხვა მიზეზებით—98, თეთრიწყაროს რაიონის სკოლებიდან 80, კასპის რაიონის სკოლებიდან—66, ლენტეხის რაიონის სკოლებიდან კი გასულია 65 ბავშვი და ა. შ.

ბევრი მოსწავლე სკოლიდან გასულია სწავლაში ჩამორჩენილობის გამო. სკოლებს ჩამოშორდა და 1970—1971 სასწავლო წლიდან სწავლა არ განუახლებია თეთრიწყაროს რაიონში 54, ლენტეხის რაიონში 29, ყაზბეგის რაიონში 3 მეორე წლიან მოსწავლეს. საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებაზე უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობა და მეორეწლიანობა, რაც ძირითადად სკოლების ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური კოლექტივების სუსტი მუშაობითა და მოსწავლეებისადმი არადიფერენცირებული მიდგომით არის გამოწვეული. 1970—1971 სასწავლო წლის ბოლოს დმანისის რაიონში დატოვებულია 383, საშემოდგომო გამოცდა მიეცა 702, თეთრიწყაროს რაიონში დატოვებულია 316, საშემოდგომო გამოცდა მიეცა 750, თიანეთის რაიონში დატოვებულია 90, საშემოდგომო გამოცდა მიეცა 305, ლენტეხის რაიონში დატოვებულია 24, საშემოდგომო გამოცდა მიეცა 391, კასპის რაიონში დატოვებულია 154, საშემოდგომო გამოცდა მიეცა 368, ყაზბეგის რაიონში დატოვებულია 40, საშემოდგომო გამოცდა მიეცა 59 მოსწავლეს.

განათლების განყოფილებებს და ბევრი სკოლის დირექტორს არ აქვთ სწავლაში ჩაუბმელ და სკოლიდან განთესილ ბავშვთა და მოზარდთა ზუსტი აღრიცხვა, ისინი დროულად არ ღებულობენ ზომებს ამ ბავშვების სკოლაში დასაბრუნებლად. დმანისის რაიონის სკოლებიდან განთესილია 67 ბავშვი, მათ შორის საფარლოს საშუალო სკოლის (დირექტორი მ. ველიევი) მიკრორაიონიდან (ანგრევანი) განთესილია—12, დმანისის რუსული საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. ლენინოვი) მიკრორაიონიდან (ვაკე. ქარიანი)—8, ჯიროვის საშუალო სკოლის (დირექტორი უ. ახმედოვი) მიკრორაიონიდან (ბალჩალარი)—15, ყარაბულახის 8 წლიანი სკოლის (დირექტორი ჩ. ისმაილოვი) მიკრორაიონიდან (მამიშლარი)—8, ამამლოს საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. გიულმამე-

დოვი)—3, დმანისის აზერბაიჯანული 8 წლიანი სკოლიდან (დირექტორი ა. ბაირამოვი)—2, ირგანჩაის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ჯ. მუსაევი)—3; ი. ბოსლების 8-წლიანი სკოლიდან (დირექტორი ს. ბარათაშვილი) განთესილია—2 მოსწავლე. ყაზბეგის რაიონის სკოლებიდან განთესილია 9 მოსწავლე. თეთრიწყაროს რაიონის სკოლებიდან განთესილია 53; თიანეთის რაიონის სკოლებიდან—5, კასპის რაიონის სკოლებიდან—21, ლენტეხის რაიონის სკოლებიდან—14 სასკოლო ასაკის ბავშვი.

დასახელებულ ფაქტებთან ერთად, რაც მეტნაკლებად დამახასიათებელია აღნიშნული რაიონებისათვის, საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას დმანისის, ლენტეხის, ყაზბეგის, თიანეთის მთიან რაიონებში ხელს უშლის რვაწლიანი და საშუალო სკოლების მომსახურების დიდი რადიუსები. ათობით სოფელი რვაწლიან და საშუალო სკოლიდან 8—10 კილომეტრით არის დაცილებული, რაც მთიანი რელიეფის პირობებში შეუძლებელს ხდის მოსწავლეთა სიარულს სკოლაში. მეორე მხრივ დასახელებულ რაიონებში არსებული სასკოლო ინტერნატების დიდი უმრავლესობა იმდენად მოუწყობელია, რომ მათში ცხოვრება მთის მკაცრი და ხანგრძლივი ზამთრის პირობებში შეუძლებელია.

სასკოლო ინტერნატების აღსაზრდელთა მცირე პროცენტია აყვანილი სახელმწიფო კვებაზე. სახელმწიფო კვებაზეა დმანისის რაიონში სასკოლო ინტერნატების 197 აღსაზრდელიდან 63, ყაზბეგის რაიონში 102-დან—50, ლენტეხის რაიონში 510-დან 40, თეთრიწყაროს რაიონში 177-დან—77 აღსაზრდელია სახელმწიფო კვებაზე. დმანისის რაიონის სკოლების დისლოკაცია აფერხებს დაწყებითი სკოლების კურსდამთავრებულთა სწავლის გაგრძელებას 8-წლიან და საშუალო სკოლებში. ასე, მაგალითად, ყარაბულახის სასოფლო საბჭო აერთიანებს 8 სოფელს, რომლებიც ერთმანეთისაგან დაცილებული არიან 5—9 კმ-დე. ამ სოფლებამდე, უგზოობის გამო, ვერ მიდის ავტობუსი. ამიტომაა, რომ გამიშლარის დაწყებითი სკოლის 14 კურსდამთავრებული დარჩენილია სკოლის გარეთ, ასეთივე მდგომარეობაშია ამავე სასოფლო საბჭოს საღუთლოს, მუდზალარის და უსეინქედის დაწყებითი სკოლების კურსდამთავრებულები. კიროვის სასოფლო საბჭის ბახჩალარის დაწყებითი სკოლის კურსდამთავრებული 17 ბავშვი სკოლის სიშორის გამო არ არის ჩაბმული სწავლებაში. დაბა დმანისის აზერბაიჯანული 8 წლიანი სკოლის 25-ზე მეტი კურსდამთავრებული

ვერ აგრძელებს სწავლას მე-9 კლასში, რადგან დმანისში არ არის აზერბაიჯანული საშუალო სკოლა.

წლების განმავლობაში ცალკეული სკოლებიდან განთავისუფლებულ ბავშვებისა და მოზარდების ერთეულები რაიონის მასშტაბით ასეულებს შეადგენენ, რაც მკაფიოდ დასტურდება 1 კლასში ჩაბმული მოსწავლეთა კონტინგენტის 8 წლიანი სკოლის ფარგლებში შენარჩუნების შესახებ არსებული ციფრობრივი მონაცემებით, მაგალითად, 1962—1963 სასწავლო წელს I კლასში ჩარიცხული იყო დმანისის რაიონში—1272 ბავშვი. 8 კლასი დაამთავრა 927 (72,8%), თეთრიწყაროს რაიონში 1050-დან—630 (60%); თიანეთის რაიონში 581-დან—336 (70%), ყაზბეგის რაიონში 174-დან—81 (80%), ლენტეხის რაიონში 387-დან—287 (74,1%) მოსწავლემ.

სუსტია სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა: სასკოლო შენობები ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ძალზე ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ დმანისის რაიონის ყარაბაღის, შახმარლოს 8 წლიანი, კამარლოს და მუღანლოს საშუალო სკოლებში. ასეთი დიდი ჩამორჩენა საყოველთაო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების საქმეში პირველ რიგში იმის შედეგია, რომ რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორები დაუშვებელ უყურადღებობას იჩენენ საქმისადმი, ვერ რაზმავენ მასწავლებელთა კოლექტივებს საყოველთაო განათლების საბრძოლო ამოცანათა გარშემო და გულდამშვიდებით ურიგდებიან სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის ფაქტებს.

საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებას აოადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ სახალხო განათლების რაიონული განყოფილებანი, რის შედეგად ამ საქმის გარშემო მჭიდროდ არაა დარაზმული სასოფლო საბჭოები და მშრომელთა ფართო საზოგადოებრიობა.

საყოველთაო სავალდებულო კანონის განხორციელების საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. თეთრიწყაროს, თიანეთის, კასპის, ყაზბეგის, დმანისის და ლენტეხის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა (დ. ბექაური, ე. თურქიაშვილი, ა. ბეჟანიშვილი, ა. მანსუროვი, გ. კურკუმელი, რ. შავრეშიანი):

ა) „საქართველოს სს რესპუბლიკაში სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ინსტრუქციის“ შესაბამისად სასოფლო საბჭოს აღმასკომებთან ერთად უზრუნველყონ 7—15 წლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვა მ/წ 20 აგვისტოს მდგომარეობით;

ბ) სკოლების დირექტორების მიერ წარდგენილი აღწერის მასალები შეუდარონ საკომლო წიგნების ჩანაწერებს და მოსწავლეთა სიებს. შეადგინონ მათ მიკრორაიონში მცხოვრებ 7—15 წლის ბავშვთა და მოზარდთა ზუსტი სია და იქონიონ საჭირო ცნობები, როგორც სწავლებაში ჩაბმულ, ისე სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა შესახებ; უზრუნველყონ სკოლისგარეშე დარჩენილ ბავშთა და მოზარდთა ჩაბმა შესაბამის კლასებში მომავალი სასწავლო წლიდან;

გ) მოაწესრიგონ მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა სკოლებში, ზუსტად დაიცვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესი მოსწავლეთა ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლის შესახებ და უზრუნველყონ მოსწავლეთა არსებული კონტინგენტის შენარჩუნება;

დ) დასვან საკითხი რაისაბჭოს აღმასკომის წინაშე და მიაღწიონ იმას, რომ სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა გადასინჯონ და გაასწორონ საკომლო წიგნებში არასწორად შეტანილი ცნობები ბავშვების შესახებ: სიიდან ამოიღონ სხვა სასოფლო საბჭოში ან ქალაქში მუდმივ საცხოვრებლად წასული ბავშვები და მოზარდები, იქონიონ ზუსტი ცნობები მათი სწავლის შესახებ;

ე) არსებითად გააუმჯობესონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მიაღწიონ სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სწავლაში ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობისა და მათდამი დახმარების საქმეს; შეიმუშაონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი საზაფხულო დავალება და საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებთან მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

ვ) მიაღწიონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას, მიზანშეწონილად გამოიყენონ ამ მიზნისათვის

ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნობანი და კოლმეურნეობათა, შეფ საწარმოთა და მშობელთა საზოგადოებრიობის დახმარება;

ზ) სკოლების ინსპექტირების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საყოველთაო სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესწავლას, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი პარტიის XXIV ყრილობის დადგენილების შესაბამისად საყოველთაო საშუალო განათლების უზრუნველსაყოფად;

ი) დმანისის რაიონის საფარლოს, დმანისის რუსული, კიროვის, ამაძლოს, ირგანჩაის საშუალო, ყარაბულახის, დმანისის აზერბაიჯანული და ბოსლების რვაწლიანი სკოლების დირექტორებს მ. ველიევს, ნ. ლეონოვს, ე. ახმედოვს, გ. გიულმამედოვს, ჯ. მუსაევს, ჯ. ისმაილოვს, ა. ბაირამოვს, ს. ბარათაშვილს, კასპის რაიონის ხოვლეს საშუალო და საქადაგიანოს რვაწლიანი სკოლების დირექტორებს ზ. გოგოლაშვილსა და ა. მეხურნიშვილს, მცხეთის რაიონის ქსნის საშუალო სკოლის დირექტორს გ. ჯირკველიშვილს, იმის გამო, რომ მათ ვერ უზრუნველყვეს სკოლის გარეთ დარჩენილ და განთესილ ბავშვთა და მოზარდთა სწავლებაში ჩაბმა, გამოეცხადოთ საყვედური.

2. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე), შეისწავლოს საკითხი გამიშლარისა და ბახჩალარის დაწყებით სკოლებთან მე-5, დაბა დმანისის აზერბაიჯანულ 8 წლიან სკოლასთან მე 9 კლასებისა და დაბა დმანისის რუსულ საშუალო სკოლასთან ქართული სექტორის გახსნის შესახებ.

3. აღინიშნოს დმანისის, თიანეთის, თეთრიწყაროს, ლენტეხის, კასპის და ყაზბეგის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა სუსტი მუშაობა საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში, დაევალოს აღნიშნული რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს ეს ბრძანება განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და დასახონ საჭირო ღონისძიებანი საყოველთაო სწავლების განხორციელების დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საფუძველი; საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 23 ივლისის დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 6 აგვისტოს ბრძანება № 432

სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ახალი, 1971—1972 სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

ადგილზე ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა, რომ სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერხატების ერთი ნაწილი დროულად შეუდგა ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას, ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა შენობა-ნაგებობების შეკეთების, კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სასწავლო სახელოსნოების მოწყობის, რბილი და მაგარი ინვენტარის, სახელმძღვანელოების, სასწავლო ნივთების შეძენის საქმეში და სხვ.

დამაკმაყოფილებლად ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური (დირექტორი ვ. მელაძე), ყრუ ბავშვთა (დირ. ი. ხეთერელი), ბათუმის № 1 (დირექტორი ა. კაკაბაძე), ბათუმის № 2 (დირ. უ. დიასამიძე), თიანეთის (დირ. დ. გონჯილაშვილი) სკოლა-ინტერნატები. აღნიშნულ დაწესებულებებს გააჩნიათ 1971—1972 სასწავლო წლისათვის მზადების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მთელ რიგ საკითხებს, როგორიცაა: მოსწავლეთა კონტინგენტის დაზუსტება და შევსება, ნახმარი სახელმძღვანელოების შეგროვება-შეკეთება, სახელმძღვანელოების და თვალსაჩინოების შეძენისათვის ღონისძიებების ჩატარება, ინვენტარის შეძენა და ა. შ.

ბათუმის № 2 სკოლა-ინტერნატში კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული 13 ათასი მანეთიდან უკვე ათვისებულია 10.000 მანეთი. მაგარი ინვენტარი—მერხები, მაგიდები, საწოლები წესრიგშია მოყვანილი. თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების შესაძენად გამოყოფილი 800 მან. ასევე ათვისებულია.

თიანეთის სკოლა-ინტერნატის საქვაბე განყოფილებაში მონტაჟდება ახალი ღუმელი, ეზოში შეყვანილია დამატებითი წყალსადენი, კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა საპირფარეშოებსა და პირსაბნებს, სადაც დაიდგა ახალი ნიჟარები.

დროულად და ხარისხიანად მიმდინარეობს ახმეტის რაიონის მატნის ახალი სკოლა ინტერნატის მშენებლობა, შექმნილია ყველა პირობა, იმისათვის, რომ იგი ახალი სასწავლო წლისათვის შევიდეს ექსპლუატაციაში. საჩხერის საბავშვო სახლს მიუშენდა დამატებითი ოთახები.

ასევე საქმიანად ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის თბილისის მუსიკალური, კაჭრეთის, გურჯაანის, ატენის სკოლა-ინტერნატები და სხვ.

მიუხედავად ამისა, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლა-ინტერნატების ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ბევრგან არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ზოგიერთი საბავშვო სახლისა და სკოლა-ინტერნატის შენობა-ნაგებობის კაპიტალური და მიმდინარე რემონტი დღემდე არ დაწყებულა. წესრიგში მოყვანილი არ არის წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი. რბილი და მაგარი ინვენტარის შესაძენი თანხები არაა ათვისებული, არა აქვთ შეძენილი სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები, არ შეუვსიათ კაბინეტ-ლაბორატორიები, არაა დამთავრებული მოსწავლეთა დაკომპლექტება და სხვა.

დღემდე არ არის დაწყებული სარემონტო სამუშაოები კოჯრის № 1, № 2, № 3 საბავშვო სახლებში. კოჯრის № 4 საბავშვო სახლის შენობის კაპიტალური რემონტის ჩამტარებელ გარდაბნის სარემონტო კანტორას არ გააჩნია მუშაობის გრაფიკი, არ აქვს შემოზიდული რემონტისათვის საჭირო მასალა, საბავშვო სახლებს არ აქვთ ათვისებული რბილი და მაგარი ინვენტარის შესაძენად გამოყოფილი თანხები. კოჯრის სკოლა-ინტერნატს კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი აქვს 8000 მანეთი, მაგრამ გარდაბნის სარემონტო კანტორას ჯერ მუშაობა არ დაუწყია.

ახალქალაქის, მარნეულის, საგურამოს, ახალციხის, წითელწყაროს, მესტიის, ხულუკიძის, საირხინოს სკოლა-ინტერნატებში, ბეთანიის საბავშვო სახლში, კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატში და ზოგიერთ სხვა დაწესებულებაში წესრიგში არაა მოყვანილი შიგა და გარე კანალიზაციის ქსელი. ეზოს საპირფარეშოებში სისტემატურად არ ხდება დეზინფექცია ქლორიანი კირით, არ მუშაობს სასმელი წყლის გამყმენდი ნაგებობები და სხვა.

წესრიგში არ არის მოყვანილი ბოდბის სკოლა-ინტერნატის საძინებელი კორპუსი. შესაკეთებელია ელექტროგანათებისა და წყალგაყვანილობის სისტემა. საპირფარეშოებში შესაცვლელია ნიჟარები. დღემდე არ არის მოყვანილი წესრიგში ახმეტისა და წითელწყაროს სკოლა-ინტერნატების სველი წერტილები. წითელწყაროს სკოლა ინტერნატში ავარიულ მდგომარეობაშია ცენტრალური გათბობის სისტემა.

კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსში შესაცვლელია იატაკი, შესაკეთებელია ფიზდარბაზის ჭერი. გასაუქმებელია სველი წერტილები და პირსაბნები საძინებელ კორპუსში. სკოლა-ინტერნატი ჯერჯერობით მთლიანად არაა უზრუნველყოფილი საჭირო სამშენებლო მასალებით.

მუშაობაში არსებული აქ აღნიშნული და სხვა ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სპეც. სკოლებში ახალი, 1971-72 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა დაუყოვნებლივ შეისწავლონ სკოლა-ინტერნატების საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის მდგომარეობა და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად გაატარონ საჭირო ღონისძიებანი.

2. სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) მაქსიმალურად გამოიყენონ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩენილი დრო შენობა-ნაგებობათა წესრიგში მოსაყვანად;

ბ) მიიღონ საჭირო ღონისძიებანი რბილი და მაგარი ინვენტარის შესაძენად, აღსაზრდელთა სასწავლო ნივთებითა და სახელმძღვანელოებით დროულად უზრუნველსაყოფად;

გ) შეფების, მზრუნველთა საბჭოებისა და მშობელთა კომიტეტების დახმარებით გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიებები ახალი, 1971-72 სასწავლო წლის ორგანიზებულად შეხვედრისათვის.

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ს. უჩანეიშვილი) სათანადო დახმარება აღმოუჩინოს რესპუბლიკურ ბიუ-

ჯეტზე მყოფ სკოლა-ინტერნატებს სარემონტო სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარების საქმეში.

4. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) სისტემატური კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 6 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 13 აგვისტოს ბრძანება № 443

ვაქვეყნებ სსრ კავშირის განათლების მინისტრის მოადგილის ამხ. თ. პანაჩინის 1971 წ. 16 ივლისის № 48 ბრძანებას „მოლდავეთის სსრ სახალხო განათლების სამინისტროს მუშაობის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს სკოლის შესახებ 1966 წლის 10 ნოემბრის დადგენილების შესრულების თაობაზე“

შემოწმებით დადგინდა, რომ მოლდავეთის სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, ქალაქების, რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები, სკოლები და რესპუბლიკის განათლების სხვა დაწესებულებები პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობითა და მუდმივი დახმარებით ატარებენ დიდ მუშაობას სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის, პროპაგანდის და ცხოვრებაში გატარების საქმეში.

სახალხო განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის განათლების ყველა დაწესებულებაში შემუშავებულია ღონისძიებები ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელების, სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის, მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლების, პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესებისა და სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში.

რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებულია რეკომენდაციები და სტატიები სკოლების მუშაკთა დასახმარებლად მოსწავლეებისათვის სკკპ XXIV ყრილობისა და მოლდავეთის კპ XIII ყრილობის მასალების გაცნობის მიზნით. მასწავლებლები ფართოდ იყენებენ გაკვეთილებზე და კლასგარეშე მუშაობაში სკკპ XXIV ყრილობის

მასალებს, მოუთხრობენ მოსწავლეებს ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებაზე, მეცხრე ხუთწლედის ამოცანებზე, ხაზს უსვამენ სკკპ ყამყვან როლს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობასა და საგარეო პოლიტიკაში ლენინური პრინციპების განხორციელებას.

მოლდავეთის სსრ-ში სახალხო განათლების ორგანოებმა სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების, სკკპ ცკ-ის და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წ. 10 ნოემბრის დადგენილებების შესრულების საქმეში გაწეული დიდი განმარტებითი და ორგანიზაციული მუშაობის შედეგად მიაღწიეს გარკვეულ წარმატებებს მოზარდი თაობის სწავლებასა და აღზრდაში.

რესპუბლიკაში შექმნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს მთელი ახალგაზრდობის მიერ საშუალო განათლების მისაწვდომობას. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა მასწავლებელთა კადრების შემადგენლობა. ძირითადად წარმატებით ხორციელდება სკოლების გადასვლა ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე. სა ნსპექტორო შემოწმების დროს ჩატარებულმა საკონტროლო სამუშაოებმა, რომლებმაც მოიცვა 17 ათასამდე მოსწავლე, გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა ცოდნა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ემთხვევა მასწავლებელთა მიერ დასმულ ნიშნებს, სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების ხელმძღვანელთა მონაცემებს მოსწავლეთა მოსწრების შესახებ.

სკოლების პედაგოგიური კოლექტივები სასწავლო და კლასგარეშე მუშაობის პროცესში ეწევიან დიდ და მიზანდასახულ მუშაობას მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისათვის, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, მოსწავლეთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდა, კოლექტივიზმის აღზრდა უფრო წარმატებით ხორციელდება სკოლებში, სადაც სწავლება ორ ენაზე—რუსულ და მოლდავურზე წარმოებს, სკოლებში, სადაც სხვადასხვა ეროვნების ბავშვები სწავლობენ.

სახალხო განათლების ორგანოების და სკოლების ხელმძღვანელების ცდები სკოლების წარმოებებთან, კოლმეურნეობებთან, ორგანიზაციებთან კავშირის განმტკიცებისაკენ დადებით გავლენას ახდენენ ბავშვებისა და ახალგაზრდების სწავლებისა და აღზრდის გაუმჯობესებაზე, პირველყოვლისა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაზე.

ამასთან ერთად, რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრომ ვერ შესძლო სკოლის შესახებ სკკპ ცკ-ის და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის № 874 დადგენილების შესრულებასთან დაკავშირებული რიგი მნიშვნელოვანი საკითხების სრულად გადაჭრა. შემოწმებამ გამოავლინა არსებითი ხარვეზები სკოლებისა და განათლების სხვა დაწესებულებების მუშაობაში.

ნელა ვითარდება სკოლამდელი დაწესებულებების ქსელი, ბაღებსა და ბაგა-ბაღებში ბავშვების მიღების შესახებ მშობელთა განცხადებების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუკმაყოფილებელი რჩება; სკოლამდელი დაწესებულებების მნიშვნელობის სახალხო-სამეურნეო გეგმა წლიდან წლამდე არ სრულდება, ამასთან ერთად ადგილი აქვს სკოლამდელი დაწესებულებების შენობების სხვა უწყებებზე გადაცემის შემთხვევებს და მათ გამოყენებას არადანიშნულებისამებრ.

რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებში არადამაკმაყოფილებლად სრულდება 8-წლიანი საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონი. 1969/70 სასწავლო წელს მხოლოდ I-VIII კლასებიდან გავიდა 9 ათასამდე მოსწავლე; 1970/71 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის გარეთ იმყოფებოდა 930 ბავშვი.

მოლდავეთის სსრ სახალხო განათლების სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები საჭირო მნიშვნელობას არ ანიჭებენ საშუალო განათლების განვითარებას, განსაკუთრებით სოფლად. 1970 წელში საერთო საშუალო განათლება დროულად მიიღო 10 წლის წინად I კლასში შესულთა მხოლოდ 55%-მა. იმავე წელს დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX კლასებში მიღებული იქნა 8 კლასდამთავრებულ მოსწავლეთა მხოლოდ 53,7%. უკანასკნელი 5 წლის მანძილზე საღამოს სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი შემცირდა თითქმის 10 ათასი კაცით; ყოველწლიურად ამ სკოლებიდან გადის მოსწავლეთა 30%-მდე.

1971-75 წლების სახალხო სამეურნეო გეგმის პროექტის სახალხო განათლების განვითარების ნაწილი არ უზრუნველყოფს რესპუბლიკაში საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელების თაობაზე სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესრულებას.

სახალხო განათლების სამინისტრო სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენს რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა და სკოლების ხელმძღვანელთა მიმართ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის დარგში. მოსწავლეთა ცოდნის ხარისხი ჯერ კიდევ დაბა-

ლია, საკონტროლო სამუშაოების ნახევარზე მეტი შეფასებულია ნიშნით „3“.

სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი მოსწავლეთა შრომით აღზრდაში; სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა დისციპლინას და ქცევის კულტურას. სახალხო განათლების სამინისტრო არასაკმარის ყურადღებას უთმობს ფაკულტატიური მეცადინეობების ორგანიზაციას და ცალკეული საგნების გაღრმავებულად სწავლების სკოლებისა და კლასების ქსელის განვითარებას.

ცალკეული სოფლის სკოლები არ არის უზრუნველყოფილი კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, რაც, ხშირ შემთხვევაში, განპირობებულია მასწავლებელთათვის აუცილებელი საყოფაცხოვრებო პირობების არ არსებობით.

სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელები შემრიგებლურად უდგებიან მასწავლებლებს, რომლებიც ავლენენ პროფესიონალურ უვარგისობას, უშვებენ ისეთ მოქმედებას, რომელიც შეუთავსებელია საბჭოთა პედაგოგის მაღალ წოდებასთან.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს მოლდავეთის სსრ სახალხო განათლების მინისტრს ამხ. ე. ს. პოსტოვოის უზრუნველყოს შემოწმების პროცესში განათლების ორგანოებისა და სკოლების მოღვაწეობაში გამოვლინებული ხარვეზების ლიკვიდაცია.

2. მოლდავეთის სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ:

— მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებზე უზრუნველყოს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყეტილებათა შესრულებისათვის სკოლებისა და განათლების ორგანოების ამოცანების ღრმა და ყოველმხრივი განხილვის ორგანიზაცია. გაამახვილოს სახალხო განათლების ორგანოების და სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მთავარი ყურადღება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესებაზე, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის მოსწავლეთა უფრო აქტიურ და მიზანდასახულ მომზადებაზე.

— უზრუნველყოს 8-წლიანი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულება. მიაღწიოს, რათა ყველა 8-კლას დამთავრებულმა გააგრძელოს სწავლა საშუალო განათლების მიღებამდე; შეიმუშაოს 1971-75 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე მთლიანად გადაყვანას;

— გააძლიეროს ყურადღება სალამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობაზე, მიიღოს ზომები მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ასამაღლებლად, ამ სკოლების დაკომპლექტების გეგმის შესასრულებლად, მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად. განიხილოს მსხვილ საწარმოებთან საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან სკოლებისა და კლასების შექმნის საკითხი;

— უახლესი ორი წლის მანძილზე შექმნას გონებრივად ჩამორჩენილ და ფიზიკური დეფექტის მქონე ყველა ბავშვის სპეციალურ სკოლებში სწავლების ნორმალური პირობები;

— აამაღლოს მასწავლებლების, სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის, სასწავლო პროგრამების დროული შესრულების, მოსწავლეთა ცოდნის სიღრმისა და ხარისხისათვის. ანალიზი გაუკეთოს საკონტროლო და საგამოცდო ნამუშევრების, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგებს და განახორციელოს ზომები მოსწავლეთა ცოდნაში გამოვლინებული ხარვეზების სალიკვიდაციოდ;

— გააძლიეროს ყურადღება სკოლებში მშობლიური და რუსული ენების სწავლებისადმი. უზრუნველყოს ახალ სასწავლო წელს სოფლის სკოლებში რუსული ენის გაკვეთილებზე ჯგუფების გაყოფა;

— სისტემატურად შეისწავლოს და განაზოგადოს საუკეთესო პედაგოგიური კოლექტივების და ცალკეული მასწავლებლების გამოცდილება მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, გმირულ-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში; გააუმჯობესოს გაკვეთილებზე და კლასგარეშე მუშაობისას მოსწავლეთა ესთეტიკური და ათეისტური აღზრდა;

— მოსწავლეთა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომისათვის მომზადების მიზნით მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს მათი პროფესიული ორიენტაცია მუშათა კადრებზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მოსწავლეთა მიერ სამრეწველო, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო პროფესიების გაცნობას, მათში ფაბრიკა-ქარხნებში, მესაქონლეობის ფერმებში და მინდვრად შრომითი საქმიანობისადმი ღრმა პატივისცემის გრძნობის აღზრდას;

— უზრუნველყოს 1971-72 წლებში დღის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან სასწავლო-საცდელი ნაკვეთების

შექმნა, განსაზღვროს მათი მუშაობის შინაარსი და ფორმები საბუნებისმეტყველო-ბიოლოგიური ციკლის საგნების პროგრამების მოთხოვნათა და ყოველი სკოლის პირობების გათვალისწინებით. მიაღწიოს 1971-72 სასწავლო წელში სოფლის ყველა საშუალო და რვაწლიან სკოლაში ბიოლოგიის კაბინეტების შექმნას, ხოლო სამი წლის მანძილზე შეავსოს არსებული კაბინეტები საჭირო მოწყობილობით და ხელსაწყოებით ტიპობრივი ნუსხების შესაბამისად;

— პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად სისტემატურად აწარმოოს მუშაობა სკოლის მუშაკებთან მათში მაღალი კომუნისტური მორალისა და პედაგოგიური ეთიკის აღზრდის მიზნით. გაათავისუფლოს სკოლაში მუშაობისაგან პირები, რომლებიც გამოავლენენ პროფესიულ უვარგისობას და ჩაიდენენ საბჭოთა პედაგოგის მაღალი წოდებისათვის შეუფერებელ საქციელს;

— უზრუნველყოს სახალხო განათლების განყოფილებებისა და სკოლების სისტემატური და ეფექტური ინსპექტირება; მოსთხოვოს განათლების ყოველ მუშაკს მასზე დაკისრებული მოვალეობის განუხრელად შესრულება.

3. სკოლების მთავარმა სამმართველომ და კადრების განყოფილებამ სსრკ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად 1972 წლის 1 იანვრამდე შეიტანონ სათანადო ცვლილებები თემატურ გეგმებში და მოამზადონ პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ტიპობრივი პროგრამები, გაითვალისწინონ მათში მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის და ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლის დამთავრებასთან დაკავშირებული პრობლემების უფრო ღრმად შესწავლა.

4. ეთხოვოს მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს:

— სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან ინტერნატების მშენებლობის განვითარების;

— სოფლის სკოლების მასწავლებელთა ბინებით უზრუნველყოფის და მათთვის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის;

— განათლების სისტემის შენობათა სხვა უწყებებზე სათანადო ანაზღაურების გარეშე გადაცემის პრაქტიკის შეწყვეტის საკითხები.

ბრძანება: 1. ზემოდაღნიშნული ბრძანება განხილული იქნას ასსრ განათლების სამინისტროს კოლეგიების, ა/ო, ქალაქებისა

და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა საბჭოს სხდომებზე.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებების უფროსებმა, სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა აღნიშნული ბრძანება მიიღონ სახელმძღვანელოდ და უზრუნველყონ მასში აღნიშნულის ანალოგიური ხარვეზების უახლოეს დროში ლიკვიდაცია

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 6 აგვისტოს ბრძანება № 430

1971 წელს მუშებისა და მოსამსახურეების ბავშვთა საზაფხულო დასვენების ორგანიზაციის თაობაზე პროფსაბჭოს 1971 წლის 25 მაისის დადგენილებისა და განათლების სამინისტროს 1971 წლის 11 ივნისის ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების პიონერულ ბანაკებში

გავეცანი რა სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების პიონერულ ბანაკებში საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები დროულად შეუდგნენ საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის მზადებას; წესრიგში იქნა მოყვანილი შენობა-ნაგებობები, ეზო-კარმიდამო, სპორტული მოედნები და სხვ. დაზუსტდა აგარაკზე გასაყვან და სამოედნო მუშაობაზე გადასაყვან აღსაზრდელთა სიები და შეირჩა აღმზრდელ-მასწავლებელთა და სამედიცინო პერსონალის შემადგენლობა, სათანადო ღონისძიება გატარდა კვების პროდუქტების მარაგის შესაქმნელად.

ზაფხულის პერიოდში ისვენებს რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების და სპეცსკოლა ინტერნატების 2257 აღსაზრდელი, აქედან აგარაკზე გაყვანილია 690 აღსაზრდელი. ქობულეთისა და პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმებში ზაფხულის პერიოდში 3 ნაკადად გაიგზავნა ქალაქებისა და რაიონების 140-ზე მეტი ფიზიკურად სუსტი მოსწავლე.

შემოწმებული სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ბანაკების დიდ ნაწილში სათანადო დონეზე დგას ბავშვთა დასვენება და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, ამასთან ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური კვებისა და აღზრდისათვის.

ორგანიზებულად მიმდინარეობს საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობა პატარა ცემის (დირექტორი შ. ტაბატაძე), ბოხნარის (დირექტორი ი. ცხოიძე), კოჯრის (დირექტორი გ. სულავა) სკოლა-ინტერნატებში; კოჯრის № 1 (დირექტორი მ. მგალობლიშვილი) და სურამის (დირექტორი ვ. აღაჯანაშვილი) საბავშვო სახლებში.

დასახელებულ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების პიონერულ ბანაკებში კარგადაა ორგანიზებული აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა: სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობები, სპორტული შეჯიბრებები, მოძრავი თამაშობანი, მხატვრული თვითმოქმედების კონცერტები, ლიტერატურული დილა-საღამოები და სხვ.

გარკვეული ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურებას, პერიოდულად ტარდება აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმება, ფიზიკურად სუსტი აღსაზრდელები გადაყვანილი არიან გაძლიერებულ კვებაზე, მოწყობილია სამედიცინო ოთახები, იზოლატორები, გოგონებისათვის ჰიგიენის ოთახები და სხვ. ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა ჰიგიენას, საძინებელ კორპუსებსა და სამზარეულოებში სისუფთავის დაცვას. სადილების დამზადებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ აღსაზრდელები, მათი კვება დამაკმაყოფილებელია.

მიუხედავად აღნიშნული მდგომარეობისა, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების საზაფხულო-გამაჯანსაღებელ მუშაობას ახასიათებს რიგი ნაკლოვანებები.

თიანეთში ბანაკად მყოფმა გლდანის № 2 სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატმა (უფროსი ამხ. დ. კინწურაშვილი) ვერ შეასრულა საზაფხულოდ გასაყვან ბავშვთა კონტინგენტი, ნაცვლად 200 აღსაზრდელისა გაყვანილია 132 მოსწავლე. ბანაკის სამზარეულოში უსუფთაობაა, სამზარეულოს მუშაკები თეთრი ხალათების გარეშე მუშაობენ, აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილნი პირადი ჰიგიენის საგნებით, ბავშვებისათვის გამოყოფილი იზოლატორი გამოყენებულია აღმზრდელისა და ექთანის საცხოვრებელ ოთახად, არაა მოწყობილი ჰიგიენის ოთახი. შემოწმების დღისათვის შეუვსებელი იყო ბავშვთა საგზურები.

ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმის სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ამხ. გ. კვაჭაძე) არაა გამოვლინებული და გაძლიერებულ კვებაზე გადაყვანილი ფიზიკურად სუსტი ბავშვები.

საძინებელი, სასწავლო კორპუსები და გასართობი ოთახები მოუწყობელია, ზოგიერთ ოთახში მინები ჩაუსმელია, აბანო შესაკეთებელი და ონკანები წესრიგშია მოსაყვანი. სამზარეულოსა და საკუჭნაოში ფანჯრებზე არაა გაკეთებული ბუზების საწინააღმდეგო ბადე. გოგონებისათვის ჰიგიენის ოთახი გამოყოფილი არაა. სასადილოში ჭურჭლის რეცხვა უხარისხოა, სასადილო ვერ ღებულობს საჭირო რაოდენობის ბოსტნეულსა და ხილს, კვება არადამაკმაყოფილებელია. სატყეო სკოლა სანატორიუმის ეზო კეთილმოუწყობელი და უსუფთაოა, არ ტარდება სანიტარული დღეები და სხვ.

მოუმზადებლად დაიწყო საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობა კოჯრის № 3 საბავშვო სახლში (დირექტორი ე. ჯაფარიძე). აქ სამეურნეო ოთახებსა და ეზოში უსუფთაობაა. სასადილოს შენობა შესაკეთებელია, იატაკი ამოყრილია, ხოლო კედლები და ჭერი ჩამონგრეული. მოუვლელი და შესაკეთებელია საპირფარეშოები, პირსაბნები. სასადილო ღარიბია ინვენტარით. ჭურჭელი უხარისხოდ ირეცხება, პრიმიტიულად ხდება სურსათ-სანოვაგის დამუშავება და სხვ. ანალოგიური მდგომარეობაა კოჯრის მეოთხე საბავშვო სახლშიაც. ასევე შესაკეთებელი და წესრიგშია მოსაყვანი კოჯრის მეორე საბავშვო სახლის სამზარეულო, სასადილო და სამრეცხაო.

კოჯრისა და ბოდბის პიონერულ ბანაკებში არ შესრულებულა აღსაზრდელთა გაგზავნის გეგმა: ბოდბის ბანაკში თბილისის საბავშვო სახლმა 31 აღსაზრდელის ნაცვლად მხოლოდ 16 აღსაზრდელი გაგზავნა, კარდანახის საბავშვო სახლმა 15-ით ნაკლები, 17-17 ბავშვით ნაკლები გაგზავნეს წითელწყაროსა და კაჭრეთის სკოლა-ინტერნატებმა. 75 ბავშვი დააკლდა კოჯრის ბანაკს. აღნიშნულ ბანაკს 22 ბავშვი დააკლო რუსთავის სკოლა-ინტერნატმა, მუსიკალურმა სკოლა-ინტერნატმა კი 32 ბავშვი და ა. შ. ბანაკების ერთი ნაწილი სუსტად მარაგდება ახალი ხორცით, რძით, ბოსტნეულითა და ხილით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამაჯანსაღებელ მუშაობაზე გადაყვანილი სკოლა-ინტერნატების, სატყეო სკოლა-სანატორიუმებისა და საბავშვო სახლების დირექტორებმა:

ა) აღმზრდელ-მასწავლებელთა და სამედიცინო პერსონალის მუშაობაზე კონტროლის გაძლიერებით უზრუნველყონ მუშაობის

გაუმჯობესება, აღსაზრდელთა სუფთა ჰაერზე ყოფნა, დილის გამამხნევებელი ვარჯიშების ჩატარება და სათანადო პირობების შექმნა წყლისა და მზის აბაზანების მისაღებად;

ბ) გონივრულად მოაწყონ აღსაზრდელთა დასვენება-გართობა და კულტმასობრივი მუშაობა, სისტემატურად მოაწყონ ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობები, სპორტული შეჯიბრებები, დილა-საღამოები და სხვ.;

გ) საჭირო ყურადღება დაუთმონ ბანაკებში აღსაზრდელთა შრომით საქმიანობას, ფართოდ ჩააბან ისინი სადილების დამზადებაში, ეზო კარმიდამოს გამწვანება-დასუფთავებაში და სხვ.;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქცევენ აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურებას. დაუყოვნებლივ მოაწყონ მედპუნქტები, იზოლატორები, გოგონებისათვის ჰიგიენის ოთახები. ჩაატარონ აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმება და ფიზიკურად სუსტი აღსაზრდელები გადაიყვანონ გაძლიერებულ კვებაზე;

ე) სასურსათო პროდუქტებით არადამაკმაყოფილებლად მომარაგებისა და კვების რეჟიმის დარღვევის ყველა შემთხვევა გახადონ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების მსჯელობის საგნად;

ვ) გაფრთხილებულ იქნან სკოლა-ინტერნატების დირექტორები—ბანაკების უფროსები, რომ თუ ისინი მომავალში კვლავ დაუშვებენ მსგავსი ხასიათის ნაკლოვანებებს, მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

2. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 6 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაშტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი
1971 წლის 27 ივლისი

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოსთან არსებული ფიზიკური
კულტურისა და სპორტის კომიტე-
ტის თავმჯდომარე
გ. სიხარულიძე
1971 წლის 30 ივლისი

სასწავლო გეგმა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათ-ლებლო საშუალო სკოლა-ინტერნატისა სპორტული პროფი-ლით 1971—1972 სასწავლო წლისათვის

№№ რიგ.	საგნების დასახელება	საათების რაოდენობა კლასების მიხედვით						
		IV	V	VI	VII	VIII	IX	X
1	2	3	4	5	6	7	8	9
	1. ზოგადსაგანმანათ-ლებლო საგნები							
1	ქართული ენა	4	4	3	3	2	—	—
2	ქართული ლიტერატურა	2	2	2	2	2	4	3
3	რუსული ენა და ლიტ.	6	6	5	4	4	4	3
4	მათემატიკა	7	6	6	6	5	6	5
5	ისტორია	2	2	2	2/3	3	4	3
6	საზოგადოებათმცოდნეობა	—	—	—	—	—	—	2
7	ბუნებისმცოდნეობა	1	—	—	—	—	—	—
8	ბიოლოგია	—	2	2	2	2	1	2
9	გეოგრაფია	—	2	3	3/2	3	2	—
10	ფიზიკა	—	—	2	2	3	5	5
11	ასტრონომია	—	—	—	—	—	—	1
12	ხაზვა	—	—	—	1	1	—	—
13	უცხო ენა	—	3	2	2	2	2	2
14	ქიმია	—	—	—	2	2	3	3
15	სახვითი ხელოვნება	1	1	1	—	—	—	—
16	სიმღერა და მუსიკა	1	1	1	—	—	—	—
17	შრომა	1	1	1	1	1	1	1
	სულ	25	30	30	30	30	32	30

1	2	3	4	5	6	7	8	9
	ფაკულტატიური მეცადინეობა . .	—	—	—	—	2	2	2
	II. სპორტულ დისციპლინებში							
1	სასწავლო ჯგუფებში II სპორტუთანრიგის ჩათვლით	16	16	16	16	16	16	16
2	სასწავლო ჯგუფებში I და უფრო მაღალი სპორტული თანრიგებისათვის	20	20	20	20	20	20	20
	ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ დისციპლინებზე სულ (ფაკულტატიური მეცადინეობის გარეშე):							
	სასწავლო ჯგუფებში II სპორტული თანრიგის ჩათვლით . . .	41	46	46	46	46	48	46
	სასწავლო ჯგუფში I და უფრო მაღალი სპორტული თანრიგისათვის	45	50	50	50	50	52	50

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წ. 23 ივლისის დადგენილება.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი
რ. კანდელაკი

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსი **ი. ბაცელაშვილი**

ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტის გამგე **გ. მერკვილაძე**

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დადგენილების „სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების ორგანიზაციის შესახებ“ დანართი № 3

სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნიტების სპორტულ დისციპლინებში სასწავლო ჯგუფების დატვირთვა

№	სპორტის სახეები	სასწავლო ჯგუფების დატვირთვა	
		II სპორტულ თანრიგამდე (მოზარდები) ჩათვლით	I სპორტული თანრიგი და უფრო მაღალი
1	კალათბურთი	15	12
2	ფრენბურთი	15	12
3	სპორტული ტანვარჯიში	8	6
4	მძლეოსნობა	10	6
5	ცურვა	10	6
6	წყალში ხტომა	10	6
7	ჩოგბურთი	8	6
8	ფაიკაობა	8	6
9	ფეხბურთი	17	15
10	ჰოკეი	17	15
11	ხელბურთი	16	14
12	კრივი	12	6
13	კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა	12	6
14	ნიჩბოსნობა აკადემიური, ბაიდარაზე და კანოეზე	10	8
15	სასროლი სპორტი	10	6
16	ველოსპორტი	10	6
17	სათხილამურო სპორტი	10	6
18	ციგურები და ფიგურული სრიალი	8	6

შენიშვნა: კრივსა და ჭიდაობაში II მოზარდთა და შესაბამისად I მოზარდთა თანრიგამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 6 აგვისტოს ბრძანება № 431

სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა-ინტერნატის დებულების შესახებ

ვაქვეყნებ სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ 1971 წლის 29/30 მარტს დამტკიცებულ დებულებას „სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა-ინტერნატის შესახებ“

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
სსრ კავშირის განათლების
მინისტრი მ. პ რ ო კ ო ფ ი ე ვ ი
29 მარტი 1971 წ.

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან
არსებული ფიზიკური კულტურისა და
სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე
ს. პ ა ვ ლ ო ვ ი
30 მარტი 1971 წ.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა: სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის
მოადგილე მ. რ ი ა ბ ო ვ ა
სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის
მინისტრის მოადგილე ა. ს ე რ ე ნ კ ო

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა-ინტერნატის შესახებ

I. ზოგადი დებულება

1. სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატი წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებას.

2. სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატები იხსნება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემაში იმ რაოდენობით, რომელიც დადგენილია თითოეული მოკავშირე რესპუბლიკისათვის.

3. სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი თავის მოქმედებას ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის წესდების, სკოლა-ინტერნატის დებულების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ და აღნიშნული დებულებით.

4. სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი იქმნება შესაფერისი სპორტული ნაგებობების პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო-საწრთვნელი მეცადინეობის ეფექტურობას სპორტის იმ სახეობაში, რომელიც დადგენილია მოცემული სკოლა-ინტერნატისათვის.

5. სპორტის სახეები, რომელთა მიხედვითაც ხდება სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ორგანიზაცია მოცემულ სკოლა-ინტერნატში, მტკიცდება სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების, (სახალხო განათლების) სამინისტროებსა და მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების წარდგინების საფუძველზე.

6. პირები, რომლებიც ამთავრებენ სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატს, ღებულობენ დადგენილი ნიმუშის საშუალო განათლების ატესტატს აგრეთვე საზოგადოებრივი ინსტრუქტორისა და სპორტის მსაჯის მოწმობას.

II. დაკომპლექტების წესი

7. სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატის დაკომპლექტება ხდება მე-4 კლასიდან ისეთი ბავშვებით და მოზარდებით, რომლებიც ამჟღავნებენ განსაკუთრებულ ნიჭს სპორტში და ცხოვრობენ მოცემულ მოკავშირე რესპუბლიკაში. ამ მიზნით ყოველ სკოლა-ინტერნატში იქმნება მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით: სკოლა-ინტერნატის დირექტორი (თავმჯდომარე), სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილეები,

ფიზკულტურის მასწავლებლები სათანადო სპორტული დისციპლინების მიხედვით, ექიმები, მოკავშირე რესპუბლიკის განათლების (სახალხო განათლების), ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის წარმომადგენლები.

8. კომისია აწარმოებს სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებით დაკომპლექტებას მიღების წესების შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად, დამტკიცებულს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ. მუშაობის პერიოდში მიმღები კომისიის წევრებს დამატებითი ანაზღაურება არ ეძლევათ.

9. სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატში მოსწავლეთა ჩარიცხვა ფორმდება სკოლა-ინტერნატის დირექტორის ბრძანებით კომისიის ოქმის საფუძველზე.

10. სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატში მოსწავლეთა შენახვის ხარჯებს მშობლები არ იხდიან.

მოსწავლეთა უზრუნველყოფა სპორტული ფორმით ხდება ამ სკოლა-ინტერნატის სახსრებით.

მოსწავლეებს ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით უზრუნველყოფენ მშობლები.

სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის დირექტორს უფლება აქვს მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 15%-ის ფარგლებში ტანსაცმლით და ფეხსაცმლით მთლიანად ან ნაწილობრივ უზრუნველყოს მოსწავლეები ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახებიდან.

III. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაცია

11. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა-ინტერნატში ხორციელდება სასწავლო გეგმით, რომელიც დამტკიცებულია მოკავშირე რესპუბლიკის განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროსა და მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ, სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა

და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ დამტკიცებული ტიპიური სასწავლო გეგმის საფუძველზე.

12. სასწავლო ჯგუფების დატვირთვას სპორტულ დისციპლინებში ადგენს სსრ კავშირის განათლების სამინისტრო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი მოსწავლეთა სპორტული მომზადების დონის გათვალისწინებით.

13. სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატში სპორტული ოსტატობის დაუფლება ხორციელდება ყოველმხრივი ფიზიკური განვითარების ბაზაზე, დღის რეჟიმის სწორი ორგანიზაციის გზით, აღსაზრდელებში ჰიგიენური ჩვევების დანერგვით, დილის ტანვარჯიშის ყოველდღიური შეცადინეობით—მომდევნო წყლის პროცედურებით, აღსაზრდელების ორგანიზმის სისტემატური წრთობით, ფიზიკური აღზრდის კლასგარეშე ფორმების გამოყენებით, წვრთნის თეორიისა და მეთოდიკის დაუფლებით.

14. არდადეგების პერიოდში სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი აწყობს სპორტულ გამაჯანსაღებელ ბანაკს, რომელიც წარმოადგენს აუცილებელ რგოლს სრულ წლიურ სასწავლო-საწვრთნელ პროცესში ზამთრის არდადეგების დროს ბანაკი ეწყობა 12 დღით, ხოლო ზაფხულის პერიოდში ერთ ან ორ ცვლად—თითოეული მათგანი 26 დღის ხანგრძლიობით.

IV. სკოლა-ინტერნატის მუშაობის ხელმძღვანელობა და მასწავლებელთა შემადგენლობა

15. სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატის მუშაკთა შტატები დადგენილი წესის მიხედვით მტკიცდება მოკავშირე რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროების მიერ ყოველი სკოლის სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით.

16. სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატის დირექტორი ინიშნება მოკავშირე რესპუბლიკის განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროს მიერ საუკეთესო პედაგოგთაგან, რომელსაც აქვს უმაღლესი პედაგოგიური განათლება და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის სტაჟი.

17. დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის დარგში, რომელიც პასუხისმგებელია ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სასწავლო პროცესის ორგანიზაციაზე, ინიშნება იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება და არანაკლებ 3 წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟი. მის მოვალეობაში შედის ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებში სასწავლო-მეთოდურ და საალმზრდელო მუშაობაზე უშუალო ხელმძღვანელობა.

18 დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის დარგში, რომელიც პასუხისმგებელია სასწავლო-სპორტული პროცესის ორგანიზაციაზე ინიშნება იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი ფიზკულტურული განათლება და გააჩნიათ ბავშვებთან საწვრთნელი მუშაობის გამოცდილების არანაკლები სამი წლის სტაჟი. ის ვალდებულია უხელმძღვანელოს აღსაზრდელთა სპორტული მომზადების მთელ პროცესს და ფიზკულტურის მასწავლებლების საქმიანობას, რომლებიც ატარებენ მუშაობას სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

19. მოსწავლეებთან აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისათვის ინიშნება ორგანიზატორი კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში (სკოლა ინტერნატის დირექტორის მოადგილის უფლებით) იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება და ბავშვებთან არანაკლებ 3 წლის მუშაობის სტაჟი. ის აორგანიზებს და წარმართავს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას და მოსწავლეთა საზოგადო-სასარგებლო შრომას, უწევს ინსტრუქტაჟს და პედაგოგიურ დახმარებას კლასის ხელმძღვანელებს, მასწავლებლებს, აღმზრდელებს და სხვა პირებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ კლასგარეშე მუშაობის ხელმძღვანელობა.

20. ფიზაკური აღზრდის მასწავლებლად ინიშნებიან საუკეთესო სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო-სპეციალური განათლება და სპორტის მოცემულ სახეობაში ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება. სპორტის მოცემულ სახეობაში ფიზიკური აღზრდის სამ მასწავლებელზე მეტის არსებობისას ერთერთი მათგანი ინიშნება უფროსად.

21. სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატში ინიშნება სპორტულ ნაგებობათა გამგე. მის მოვალეობაში შედის სპორტულ ნაგებობათა (სტადიონების, სპორტული

დარბაზების, საცურაო აუზების, სპორტული მოედნების) ნორმალური და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა და სპორტული ინვენტარის წესიერ მდგომარეობაში შენახვა.

22. სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატში სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ძირითადი საკითხების განსახილველად იქმნება პედაგოგიური საბჭო შემადგენლობით: დირექტორი (თავმჯდომარე), მისი მოადგილეები, ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტული დისციპლინების მასწავლებლები, აღმზრდელები, უფროსი პიონერხელმძღვანელი, ბიბლიოთეკარი, სპორტნაგებობათა გამგე, ექიმი, მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე. პედაგოგიური საბჭო თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს პედაგოგიური საბჭოს დებულებით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ.

სასწავლო-სპორტულ მუშაობაში სპეციალური საკითხების გარჩევისათვის სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატში იქმნება პედაგოგიური საბჭოს მუდმივმოქმედი კომისია სპორტში შემდეგი შემადგენლობით: დირექტორის მოადგილე, რომელიც პასუხისმგებელია სასწავლო-სპორტული პროცესის ორგანიზაციაზე (თავმჯდომარე), ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები, ექიმი. სპორტულ ნაგებობათა გამგე.

23. მშობლებთან სისტემატური კავშირის უზრუნველსაყოფად სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატში იქმნება მშობელთა კომიტეტი. მისი მუშაობა განისაზღვრება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მშობელთა კომიტეტის დებულებით, რომელიც დამტკიცებულია მოკავშირე რესპუბლიკის განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროს მიერ.

V. მოსწავლეთა სამედიცინო დახმარება

24. სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები იმყოფებიან სკოლა-ინტერნატის სამედიცინო პერსონალის სისტემატური დაკვირვების ქვეშ.

სამედიცინო პერსონალი უზრუნველყოფს დაკვირვებას მოსწავლეთა ჯანმრთელობასა და მათ ფიზიკურ განვითარებაზე, ატარებს პროფილაქტიკურ მუშაობას, დისპანსერიზაციას, ახორციელებს კონტროლს გამაჯანსაღებელ და საწრთობ ღონისძიებებზე, სასწავლო-აღმზრდელობით დატვირთვაზე, აღსაზრდელთა კვების

ორგანიზაციასა და ხარისხზე. სკოლა-ინტერნატის ყველა შენობისა და ტერიტორიის სანიტარულ მდგომარეობაზე. ატარებს სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობას აღსაზრდელებს შორის.

VI. დაფინანსება, იურიდიული უფლებანი, მატერიალური უზრუნველყოფა და ანგარიშგება

25. სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატი ფინანსდება მოკავშირე რესპუბლიკის განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროს ან სახალხო განათლების განყოფილების მიერ, რომლის გამგებლობაშიც ის იმყოფება, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, აწარმოებს საბუღალტრო აღრიცხვას და ადგენს ანგარიშს კანონით დადგენილი წესის მიხედვით.

26. სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატი მარაგდება სპორტული ინვენტარით, აღჭურვილობითა და მოსწავლეთათვის სპორტული ფორმით (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი) სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დამტკიცებული ტაბელის შესაბამისად.

27. სპორტის სახეობების მიხედვით სასწავლო-სპორტული პროცესის განხორციელებისათვის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატში ზოგადსაგანმანათლებლო საგნებისათვის საჭირო ფართობებთან ერთად უნდა ჰქონდეს შესაფერისი სპორტული კაბინეტები და კინოფოტოლაბორატორია.

28. სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატს აქვს თავისი სპორტული ალამი, ემბლემა, სამკერდე ნიშანი, ერთიანი საპარადო სპორტული ფორმა.

29. სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს ბეჭედი მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ღერბით და შტამპი სკოლა-ინტერნატის ადგილსამყოფელის ჩვენებით.

აღნიშნული დებულების ცხოვრებაში განხორციელების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა (ამხ. ამხ. დ. ფავლენიშვილი, ა. წერეთელი) ყოველდღიურ საქმიანობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ ამ დებულებით.

2. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) დაუყოვნებლივ დაიყვანოს ეს დებულება სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატებამდე და საჭირო კონტროლი დააწესოს მის ცხოვრებაში გატარებაზე.

საფუძველი: საქ. სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 6 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 23 ივლისის ბრძანება № 415

რესპუბლიკის მუშა ახალგაზრდობის დაუსწრებელი სკოლების მუშაობის შემოწმების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 27 აპრილის № 227 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის მუშა ახალგაზრდობის დაუსწრებელი სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 27 აპრილის № 227 ბრძანების შესრულების მიმდინარეობა შემოწმდა: ქ. თბილისის რესპუბლიკურ, ქ. ქუთაისას საქალაქო, ქ. ბათუმის მეზღვაურთა რესპუბლიკურ, ზესტაფონის, წალკის, ლენინგორისა და ბოგდანოვკის დაუსწრებელ საშუალო სკოლებში, შემოწმებამ ცხადყო, რომ დასახელებული ბრძანებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს კარგად ახორციელებენ ქ. თბილისის რესპუბლიკური, ზესტაფონისა და წალკის საარაონო, ქ. ბათუმის მეზღვაურთა რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლები (დირექტორები ა. არჩვაძე, ვ. გიორგაძე, დ. უმუდუმოვი, გ. საბაშვილი).

აღნიშნულ სკოლებში მკვეთრადაა გაუმჯობესებული საგნების სწავლების საქმე და სათანადო ყურადღება ექცევა მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდურ დახელოვნებას; შექმნილია საგნობრივი მეთოდგაერთიანებები, პერიოდულად ეწყობა კონსულტაციებზე მასწავლებელთა ურთიერთდასწრება, სკოლები შეუფერხებლად სარგებლობენ დღის სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით, პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე იხილება აქტუალური საკითხები, მიღებულია საქმიანი და კონკრეტული დადგენილებები, მოგვარებულია რვა კლასის დამთავრების მოწმობებისა და საშუალო განათლების ატესტატების აღრიცხვისა და გაცემის წიგნები, შემოწმებული სკო-

ლების მასწავლებელთა დიდი ნაწილი პედაგოგიურ-მეთოდური თვალსაზრისით გამართულ გაკვეთილებს ატარებს.

მიუხედავად ამისა, დაუსწრებელი სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ლენინგორის სარაიონო დაუსწრებელ საშუალო სკოლაში შესრულებული არ არის მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმა. 1970 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით სარაიონო დაუსწრებელ სკოლაში უნდა ყოფილიყო 21 ფინანსური კლასი, 441 მოსწავლით, ფაქტიურად კი გახსნილი იყო 21 კლასი, 353 მოსწავლით.

არადამაკმაყოფილებელია ლენინგორის სარაიონო დაუსწრებელი საშუალო სკოლისა და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების კავშირი, დაუსწრებელი სკოლის მოსწავლეები არ სარგებლობენ კანონით დაწესებული შეღავათებით. ხშირია მოსწავლეთა მიერ კონსულტაციების გაცდენის შემთხვევები. ლენინგორის სარაიონო დაუსწრებელი საშუალო სკოლის სოფ. ზაყორის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის IX კლასის მოსწავლეები 21 აპრილს არ გამოცხადდნენ მეცადინეობაზე, XI კლასის 13 მოსწავლიდან კონსულტაციებს დაესწრო მხოლოდ 2.

ლენინგორისა და ბოგდანოვკის სარაიონო დაუსწრებელ სკოლებში (დირექტორები ს. თოგიევი. ა. ვართაპეტიანი) და მათში შემავალ სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში უხეშადაა დარღვეული მოსწავლეთა მიღების წესები. ლენინგორის დაუსწრებელი სკოლის XI კლასებში ჩარიცხული 136 მოსწავლიდან განათლების საბუთი აქვთ მხოლოდ 29 მოსწავლეს. 107 მოსწავლე ჩარიცხულია საჭირო საბუთებისა და გაფორმების გარეშე (ყოფილი დირექტორები ხ. ქუმარიტოვი და გ. ხეთაგუროვი).

ზაყორის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის IX კლასში ჩარიცხული 10 მოსწავლიდან 5 მოსწავლე 4 კლასის განათლებითაა. უკანამხრის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში სასწავლო წლის განმავლობაში არ ჩატარებულა არც ერთი კონსულტაცია, ხოლო საკონტროლო ნამუშევრები მოსწავლეთა მიერ არ არის შესრულებული.

მოსწავლეთა ჩარიცხვისა და საშუალო განათლების ატესტატის მისაღებ გამოცდებზე მოსწავლეთა დაშვების საქმეში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ბოგდანოვკის სარაიონო დაუსწრებელ საშუალო სკოლაში.

ამ სკოლის XI კლასების 117 მოსწავლიდან 5 მოსწავლე ჩარიცხულია 1971 წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში 6 მოსწავლე სათანადო საბუთების გარეშე არაკანონიერად არის ჩარიცხული განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორის ფ. ა. მაიდესიანის ნებართვით. ასევე, განათლების ყოველგვარი ცნობის გარეშე დირექტორ ა. ვართაპეტიანის მიერ თვითნებურად არის ჩარიცხული XI კლასებში 11 მოსწავლე; მოსწავლე არტავაზ ხაჩატურის ძე ოგანესიანს 1971 წლის იანვრიდან არ უვლია XI კლასში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ა. ვართაპეტიანის მიერ იგი დაიშვა საშუალო განათლების ატესტატის მისაღებ გამოცდებზე.

მოსწავლეების—გენრიხ აიკოს ძე მხითარიანის, თათეოზ არამის ძე ლულუკიანის, არმენაკ სედრაკის ძე გრიგორიანის პირად საქმეში ინახება ცნობები, რომ მათ ნამდვილად დაამთავრეს განძის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის X კლასი. მაგრამ გამოირკვა, რომ განძის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორების ს ასრათიანის და ლ. ნერსესიანის მიერ გაცემული ეს ცნობები ყალბია.

დაუსწრებელ სკოლაში არ არის პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები, ბრძანებათა წიგნი, მოსწავლეთა ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების ჟურნალები და საგამოცდო ოქმები.

არასწორადაა შედგენილი გაკვეთილების ცხრილი, მეცადინეობა ტარდება კვირაში ერთ დღეს—8 აკადემიური საათის დატვირთვით; სასწავლო გეგმით ჩასატარებელ სხვა საათებს თითქოს სხვადასხვა დროს ატარებენ შესაძლებლობის მიხედვით.

დროულად არ სწორდება მოსწავლეთა წერითი ნაშუშევრები. სოფელ განძის საკონსულტაციო პუნქტში წერა სომხურ ენასა და ლიტერატურაში ჩატარდა 31 მაისს, მაგრამ ნამუშევრები 22 ივნისისათვისაც კი არ იყო გასწორებული. აქ უგულებელყოფილია სპეციალური საგამოცდო ოქმების ფორმები და მათ ნაცვლად შემოღებულია ხელით დახაზული საერთო რვეული.

ქუთაისის საქალაქო დაუსწრებელ საშუალო სკოლაში სასწავლო გეგმის შესაბამისად არაა შედგენილი კონსულტაციების ცხრილი. ჩათვლებს აძლევენ კონსულტაციების განკუთვნილ საათებში, რაც ფინანსიური დარღვევაა.

ლენინგორის სარაიონო დაუსწრებელ სკოლაში მოუგვარებელია მასწავლებელთა პირადი საქმეები—49 მასწავლებლიდან პირადი საქმე აქვს 26-ს.

ლენინგორის სარაიონო დაუსწრებელ სკოლაში პედაგოგიური საბჭოს სხდომები მოუმზადებლად ტარდება. არ ხდება მიღებული დადგენილებების შესრულების შემოწმება. არ განუხილავთ სკოლის ახალი წესდება და დებულება

ლენინგორის სარაიონო დაუსწრებელი სკოლა და მასში შემავალი სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები არადამაკმაყოფილებლად ახორციელებენ მათ წინაშე მდგომ საპასუხისმგებლო ამოცანებს და სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, ხიროვნებით ხასიათდება ცალკეული საგნების სწავლება, მასწავლებლები არ მუშაობენ თავიანთ თავზე, გულდასმით არ ემზადებიან, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური კონსულტაციებისათვის, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ თვალსაჩინოების გამოყენებას სწავლებაში, არ ითვალისწინებენ ამ ტიპის სკოლის თავისებურებას, რის გამოც დაბალია მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის ათვისების ხარისხი.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა ლენინგორის დაუსწრებელ სკოლაში (მასწავლებელი ს. გ. ქაფიაშვილი), მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას არ შეუძლია საკონსულტაციო სამუშაოების დამოუკიდებლად შესრულება. წერით ნაშრომებს ასრულებენ ისეთი მოსწავლეების ნაცვლად, რომლებიც არც ერთხელ არ გამოცხადებულან სკოლაში და წარმოდგენაც არ აქვთ „საკუთარ“ წერით ნაშრომებზე. მასწავლებელმა ს. ქაფიაშვილმა მეათე კლასის მოსწავლეების წერითი ნამუშევრები გადააკეთა XI კლასის მოსწავლეთა წერით ნამუშევრებად.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება, მასწავლებლები კ. ცგოევი და გ. ხეთაგუროვი გულდასმით არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, არ ადგენენ გეგმებს, მუშაობენ ძველი პროგრამებით, არ ატარებენ საკონტროლო წერებს.

მასწავლებელმა კ. ცგოევმა ერთდროულად, უსისტემოდ, უმიზნოდ ჩაატარა ენასა და ლიტერატურაში ჯგუფური კონსულტაცია XI კლასში, XI კლასში შეუსწავლიათ 8-წლიანი სკოლის საპროგრამო მასალიდან ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, XI კლასის საკლასო ჟურნალში შეტანილია IX—X კლასებში გავლილი საპროგრამო მასალა.

მასწავლებელი ზ. ხეთაგუროვი არ იცავს პროგრამის თანმიმდევრობას; მაგალითად, IX კლასში გორკის რომანიდან „დედა“ 2

თავის ნაცვლად გავლილი აქვს 6 თავი, ასევე გავლილია ისეთი თემები, რომლებიც IX კლასის პროგრამით არ არის გათვალისწინებული.

ორჯონიკიძის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის რუსული ენის მასწავლებელი ზ. თ. კაბისოვა VIII კლასში ასწავლის VII კლასის პროგრამით.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქიმიის სწავლება (მასწავლებელი დ. კ. პეტრიაშვილი), მან ახალი მასალა „ცელულოზა" ისე ახსნა, რომ არ უხსენებია სახამებელი, ხოლო X კლასში „ალუმინის ნაერთების" ახსნისას არ შეუდგენია იონური ტოლობები. გაკვეთილები ტარდება ზეპირსიტყვიერად, ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე.

ასევე არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა და გეოგრაფია ლენინგორის დაუსწრებელ სკოლაში (მასწავლებლები ბ. ვალიევი, ლ. ე. იაშვილი) მოსწავლეთა 90—95% ვერ ფლობს საპროგრამო მასალის მინიმუმს, არ შესწევს უნარი უპასუხოს სრულიად უბრალო, ელემენტარულ საკითხებზე.

ზაყორის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის XI კლასის მოსწავლე ს. ხაჩიროვმა ვერ ახსნა მის მიერ წინა დღეს შესრულებული საკონტროლო სამუშაო მათემატიკაში.

აღნიშნული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად იმითაც არის შეპირობებული, რომ სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. შემოწმების დღისათვის ლენინგორის დაუსწრებელი სკოლის დირექტორს ს. თიგიევს მოსმენილი ჰქონდა 5 კონსულტაცია; ხოლო დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ს. ბერიძეს—7

სკოლას არ ჰქონდა მიღებული ჩათვლის წიგნაკები, მოსწავლეთა ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების ჟურნალები, მოსწავლეთა მოძრაობის წიგნი და პროგრამები.

ლენინგორის საარაიონო დაუსწრებელ საშუალო სკოლაში ადგილი აქვს დირექტორების ხშირ ცვლას; ასე, მაგალითად, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე შეიცვალა ორი დირექტორი და ამჟამად მუშაობს მესამე.

დაუსწრებელი სკოლების მუშაობას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა განათლების რაიონული განყოფილება. განათლების

გახყოფილების ინსპექტორებმა ბ. ვალიევმა, ძ. ხეთაგუროვმა და კ. ცგოევმა კარგად იცოდნენ არსებული მდგომარეობა, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებდნენ მის სალიკვიდაციოდ, პირიქით, ისინი, როგორც მასწავლებლები, თვითონვე ურიგდებოდნენ სკოლაში გამეფებულ ფორმალიზმს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და საშუალო განათლების ატესტატის მისაღებ გამოცდებზე მოსწავლეთა დაშვების საქმეში დანაშაულებრივ დარღვევათა დაშვებისათვის მოიხსნას დაკავებული თანამდებობიდან ბოგდანოვკის სარაიონო დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი ა. ვართაპეტიანი.

2. სამსახურებრივი მდგომარეობის არაკანონიერად გამოყენებისათვის, რამაც ხელი შეუწყო დაუსწრებელ სკოლაში დანაშაულის ჩადენას დირექტორის მიერ, მიზანშეუწონლად ჩაითვალოს ბოგდანოვკის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორის ფ. მაიდესიანის მუშაობა დაკავებულ თანამდებობაზე, რის გამოც ეთხოვოს საქართველოს კპ ბოგდანოვკის რაიკომს, განიხილოს მისი საკითხი.

3. დაევალოს ბოგდანოვკის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ხ. თუმასიანს, შეისწავლოს განძის საღამოს სკოლის ყოფილი დირექტორების ს. ასრათიანისა და ლ. ნერსესიანის, განძის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგის რ. ქიურიკიანისა და სომხური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ვ. კაზარიანის მიერ ჩადენილი არაპედაგოგიური მოქმედებანი და გაატაროს სათანადო ადმინისტრაციული ღონისძიებანი, რომელთა შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ა/წლის 10 სექტემბრამდე.

4. ეს ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის დაუსწრებელი საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და დაისახოს საჭირო ღონისძიებანი მუშაობის შემდგომ გასაუმჯობესებლად.

5. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. ჩინჩლაძემ) ჩაატაროს დაუსწრებელი სკოლების დირექტორთა თათბირი და გააცნოს ეს ბრძანება.

6. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ლენინგორის სარაიონო დაუსწრებელი საშუალო სკოლისა და მასში შემავალი სასწავლო-

საკონსულტაციო პუნქტების მუშაობის საკითხი განხილულია საქართველოს კპ ლენინგორის რაიონული კომიტეტის ბიუროს მიერ და გატარებულია საჭირო ღონისძიებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 23 ივლისის სხდომის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს კოლეგიის მიერ
1971 წლის 23 ივლისს

დებულება

საქართველოს სსრ საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის კლასის ხელმძღვანელის შესახებ

1. საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა მიზნად ისახავს სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში მომუშავე ახალგაზრდობას მისცეს ზოგადი საშუალო განათლება, უზრუნველყოს მათი საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლება, აღზარდოს ახალგაზრდობა სოციალისტური საზოგადოების პრინციპებისა და კომუნიზმის იდეებისადმი ღრმა სიყვარულის სულისკვეთებით. ამ ამოცანების გადაჭრაში პასუხსაგები როლი ეკისრება კლასის ხელმძღვანელს.

2. კლასის ხელმძღვანელს ამავე კლასში მომუშავე მასწავლებლებიდან ნიშნავს სკოლის დირექტორი. III და IV კლასებში კლასის ხელმძღვანელის მოვალეობას მასწავლებლები ასრულებენ.

8. საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კლასის ხელმძღვანელები იმ საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელობასთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სადაც მუშაობენ მოსწავლეები და სკოლის მასწავლებლებთან მჭიდრო კავშირში, მოსწავლეთა კოლექტივს წარმართავენ ცოდნის წარმატე-

ბით დაუფლებისაკენ; ეხმარებიან მათ სწავლაში სიძნელეების გადალახვაში; ზრუნავენ მოსწავლეთა მეცადინეობისათვის პირობების შექმნაზე, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებასა და კულტურულ ზრდაზე. კლასის ხელმძღვანელის აღმზრდელობითმა მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა საზოგადოებრივ-კულტურული აქტივობის განვითარებას.

კლასის ხელმძღვანელი თავისი მუშაობის კონკრეტულ შინაარსს განსაზღვრავს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებისა და „საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დებულების" შესაბამისად, მოცემული სკოლის მუშაობის პირობებისა და კლასის მოსწავლეთა შემადგენლობის თავისებურებათა გათვალისწინებით.

4. კლასის ხელმძღვანელს უფლება აქვს:

ა) დაესწროს მასწავლებელთა გაკვეთილებს თავის კლასში;

ბ) კლასის ყველა მასწავლებელთან შეთანხმებით შეაფასოს მოსწავლეთა ყოფაქცევა;

გ) სკოლის პედაგოგიური საბჭოს განსახილველად შეიტანოს წინადადება „სწავლაში, შრომაში საუკეთესო წარმატებისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის" სკოლის კურსდამთავრებულთა ოქროსა და ვერცხლის მედლებით, აგრეთვე, საუკეთესო მოსწავლეთა ქების სიგელებით დასაჯილდოებლად. განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიტანოს წინადადება ზოგიერთ მოსწავლეთა გარიცხვის შესახებ, რომლებიც არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან სასწავლო მოვალეობას ან უხეშად არღვევენ დისციპლინას;

დ) დასვას საკითხი იმ საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელელებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე, სადაც მუშაობენ მოსწავლეები, საუკეთესოთა წახალისების, ან იმ მოსწავლეებზე ზემოქმედების შესახებ, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ სასწავლო მოვალეობას.

5. კლასის ხელმძღვანელი მუშაობს ნახევარწლიური სამუშაო გეგმით, საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების მუშაობის სპეციფიკისა და იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც დგანან სკოლის იმ საწარმოების, შესაბამისი მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და დაწესებულებების წინაშე სადაც ეს ახალგაზრდები მუშაობენ.

კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმას ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

6. კლასის ხელმძღვანელი თავის მუშაობაში ანგარიშვალდებულია სკოლის დირექტორის, სასწავლო მუშაობის დარგში მისი მოადგილისა და პედაგოგიური საბჭოს წინაშე.

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 16 ივლისის გრძანება № 409

1970 წლის სახელმწიფო კაპდაბანდებით გათვალისწინებული განათლების ობიექტების მშენებლობის, სიმძლავრეთა ექსპლოატაციაში გადაცემის და 1971 წლის 1 კვარტლის სახელმწიფო გეგმების შესრულების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის გეგმით განათლების სამინისტროს ხაზით გათვალისწინებული იყო სკოლების, საბავშვო-დაწესებულებათა და საბინაო მშენებლობაზე სახელმწიფო კაპდაბანდება სულ—14970,0 ათ. მანეთის ოდენობით, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე 12555 ათ. მან. 1970 წლის ბოლომდე უნდა დამთავრებულიყო და საექსპლოატაციოდ გადაცემოდა სასკოლო შენობები 21767 მოსწავლე ადგილზე; საბავშვო ბაგა ბაღები 4290 ბ/ადგილზე სკოლა-ინტერნატების საძინებელი კორპუსები, სასკოლო ინტერნატები და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები 6480 კვ. მეტრი ფართობით.

ფაქტიურად დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სკოლების ახალი შენობები 22210 მოსწავლე ადგილით ანუ გეგმის 102%; საბავშვო ბაგა-ბაღები 4380 ბ/ადგილით ანუ გეგმის 103%; რაც შეეხება საბინაო მშენებლობის ობიექტებს მათი ექსპლოატაციაში გადაცემის 1970 წლის გეგმა არ იქნა შესრულებული, საექსპლოატაციოდ გადაეცა მხოლოდ 5722 კვ. მეტრი ფართობი ანუ გეგმის 88%. არ დამთავრდა სასკოლო ინტერნატები 1440 კვ. მეტრის ფართობით—ხიხაძირში (ხულოს რაიონი), კვაისაში (ჯავის რაიონი), პატარა ცემში (ბორჯომის რაიონი). აგრეთვე მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა აფხაზეთის ასსრ-ში 160 კვ. მეტრის ფართობით. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების 1970 წლის გეგმა მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციების მიერ შეს-

რულებულია მხოლოდ 95%-ით (გეგმა 12555,0 ათ. მანეთი, შესრულება 11976.0 ათ. მანეთი), რის გამო აუთვისებელი დარჩა მშენებლობის დასამთავრებლად გამოყოფილი 579 ათ. მანეთი.

1971 წლის 1 იანვრისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციებიდან, რომლებიც აწარმოებენ განათლების ობიექტების მშენებლობას წლიური გეგმა შესრულებული აქვთ: საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს 95% (გეგმა 10044.0 ათ მანეთი, შესრულება 9755,7 ათ. მანეთი), საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს 104% (გეგმა 1850,0 ათ. მანეთი, შესრულება 1930 0 ათ. მანეთი), საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს 103% (გეგმა 355,0 ათ. მანეთი შესრულება 368,0 ათ. მანეთი).

არ იქნა შესრულებული სიმძლავრეთა ექსპლოატაციაში გადაცემის 1970 წლის გეგმა ფინანსირების არაცენტრალიზებული კაპდაბანდებით მშენებარე სასკოლო ობიექტებზე.

1970 წლის ბოლომდე უნდა დამთავრებულიყო და საექსპლოატაციოდ გადაცემოდა სასკოლო შენობები 5896 მოსწავლე ადგილზე, ფაქტიურად დამთავრდა და გადაეცა საექსპლოატაციოდ სკოლების ახალი შენობები 3216 მოსწავლე ადგილით ანუ გეგმის 57%.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს აგრეთვე სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის მშენებლობის გეგმით გათვალისწინებული სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა ობიექტების მშენებლობები, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს მშენებლობის გეგმით გათვალისწინებული ყველა ობიექტის მშენებლობა წლის დასაწყისშივე უზრუნველყოფილი იყო მშენებლობისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციით და დაფინანსებით, ზოგიერთ მოიჯარე მშენებელ ორგანიზაციას მიმდინარე წლის პირველი აპრილისათვის არ ჰქონდა დაწყებული სკოლების მშენებლობა: ლენინგორში, ლარგვისში (ლენინგორის რაიონი), ხიზაბავრაში (ასპინძის რაიონი), საბავშვო ბაგა-ბაღებისა: გლდანში, ქ. თბილისში (ბარნოვის ქუჩაზე), გალში, სკოლა-სანატორიუმი პატარა ცემში და სასკოლო ინტერნატი ხიხაძირში (ხულოს რაიონი), რაც საფრთხის წინაშე აყენებს ექსპლოატაციაში გადასაცემი სკოლების და წლის ბოლომდე დასამთავრებელი ბაგა-ბაღების მშენებლობის გეგმის შესრულებას.

1971 წლის 1 კვარტლის სახელმწიფო გეგმები მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციების მიერ შესრულებული იქნა 86%-ით (გეგმა 3217,0 ათ. მანეთი, შესრულება 2725,0 ათ. მანეთი), მათ შორის სასკოლო მშენებლობის გეგმა შესრულებულია—84%-ით, ხოლო სკოლამდელ დაწესებულებათა ობიექტების 91%-ით, რაც წლიურ გეგმასთან შედარებით შეადგენს შესაბამისად 16% და 13%-ს.

ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე სასკოლო მშენებლობები ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით არაცენტრალიზებული კაპდაბანდების გეგმით, მოიჯარე მშენებელ ორგანიზაციებს მიმდინარე წლის 1 აპრილისათვის წლიური გეგმა შესრულებული აქვთ მშენებლობის სამინისტროს—8,6% (გეგმა 538,0 ათ. მანეთი, შესრულება 46,5 ათ. მანეთი), სასოფლო მშენებლობის სამინისტროს—14% (გეგმა 622,0 ათ. მანეთი, შესრულება 859,0 ათ. მანეთი, კომუნალური მეურნეობის სამინისტროს 8% (გეგმა 321,0 ათ. მანეთი), შესრულება 25,1 ათ. მანეთი).

განათლების ობიექტების მშენებლობის 1971 წლის სახელმწიფო კაპდაბანდების გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, დაავალოს საქართველოს სსრ მშენებლობის, სასოფლო მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს სპეციალურად განიხილონ სასკოლო, საბავშვო დაწესებულებათა ობიექტებისა და სასკოლო ინტერნატების მშენებლობის მიმდინარეობა და მიიღონ გადამჭრელი ზომები სახელმწიფო გეგმების მთლიანად შესრულებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მიმდინარე წელს ექსპლოატაციაში გასაშვები ობიექტების მშენებლობას და უზრუნველყონ მათი დროულად და ხარისხიანად დამთავრება.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განათლების ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა, დასახონ საჭირო ღონისძიებანი 1971 წლის სასკოლო მშენებლობისა და ექსპლოატაციაში გადაცემის გეგმების აუცილე-

ბელი შესრულებისათვის და საჭიროების შემთხვევაში საკითხი დააყენონ ზემდგომი ორგანოების წინაშე ზომების მისაღებად.

ბ) დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები მიმდინარე წელს ექსპლუატაციაში გასაშვები სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებებისათვის ინვენტარ-მოწყობილობების შეძენისა და შემოზიდვისათვის მიმდინარე წლის II და III კვარტალში.

გ) დააწესონ განსაკუთრებული კონტროლი სასკოლო მშენებლობის იმ ობიექტებზე, როძელთა დამთავრება გათვალისწინებულია ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე—1 სექტემბრისათვის.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოძარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს II და III კვარტალში, როგორც სახელმწიფო ისე არაცენტრალიზებული კაპდაბანდების გეგმით გათვალისწინებული გასაშვები ობიექტები საჭირო ინვენტარ მოწყობილობით.

4. დაევალოს კაპიტალური მშენებლობის და ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილებებს (ამხ. ამხ.. ს. უჩანეიშვილი, ვ. გეგეშიძე):

ა) შეამოწმონ ჩამორჩენილი სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა და მიიღონ საჭირო ზომები წამოჭრილი ტექნიკური საკითხების ადგილზე გადასაწყვეტად;

ბ) განათლების ობიექტების მშენებლობაზე ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელებისას განათლების განყოფილებებთან ერთად მიიღონ საჭირო ზომები, რომ არ იქნას დაშვებული მშენებლობის ობიექტებზე პროექტების დარღვევის და მშენებლობის გაძვირების ფაქტები.

გ) მოახსენონ კოლეგიას განათლების ობიექტების 1971 წლის 6 თვის მშენებლობის გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ა/წლის 20 ივლისამდე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 27 ივლისის ბრძანება № 419

რესპუბლიკაში 1971 წელს სკოლების, საბავშვო ბაგა-ბაღებისა და საბინაო მშენებლობის მიმდინარეობისა და გეგმის შესრულების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმა—სკოლების, საბავშვო ბაგა-ბაღების, სკოლა-ინტერნატების, საძინებელი კორპუსების და სასკოლო ინტერნატების მშენებლობისა, მ/წლის 1 ივლისისათვის შესრულებულია მხოლოდ 45%-ით (გეგმა 15,973.0 ათ. მანეთი, შესრულება 7233,0 ათ. მანეთი), ხოლო ექვსი თვის გეგმა 85%-ით (გეგმა 8478,0 ათ. მანეთი, შესრულება 7230,0 ათ. მანეთი).

მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 66 სასკოლო შენობა 23.387 მოსწავლე ადგილზე, 26 ბაგა-ბაღი 3.800 ბავშვ ადგილზე, სკოლა-ინტერნატების საძინებელი კორპუსები და სასკოლო ინტერნატები 4.400 კვ მეტრი ფართობით, რაზედაც უნდა დაიხარჯოს 13,8 მილ. მანეთი, მათ შორის:

—სასკოლო ობიექტების მშენებლობაზე—10.3 მილ. მანეთი
—ბაგა-ბაღების „ — 3,1 მილ. მანეთი
—სასკოლო ინტერნატების „ — 0,4 მილ. მანეთი

დამამთავრებელი ობიექტების მშენებლობებზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წლიური გეგმა მოიჯარადრე მშენებელი ორგანიზაციების მიერ ექვს თვეში შესრულებულია 6,2 მილ. მანეთი, ანუ გეგმის 45%-ი. მათ შორის:

— სკოლების მშენებლობაზე —48%-ი
— ბაგა-ბაღების „ —35%-ი
— სასკოლო ინ-
ტერნატების „ —41%-ი

როგორც ზემოთ აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს დამამთავრებელი ობიექტების მშენებლობა ძალზედ ჩამორჩება, რომლის ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოიჯარადრე მშენებელი ორგანიზაციები დროულად, წლის დასაწყისიდანვე არ იწყებენ ყველა წინა წლებიდან გადმოსული და მიმდინარე წელს დასამთავრებელი ობიექტების მშენებლობას და არ უზრუნველყოფენ გასაშვებ ობიექტებს საჭირო სამშენებლო-სამონტაჟო მასალებით, მოწყობილობით, რკინა ბეტონის ნაკეთობებით და მექანიზმებით.

მაგალითად, 1971 წლის 1 მარტისათვის არ იყო დაწყებული მუშაობა 18 სკოლის მშენებლობაზე, რომელიც უნდა დამთავრდეს და გადაეცეს საექსპლოატაციოდ ახალი სასწავლო წლისათვის, ხოლო პირველ აპრილისათვის 9 ობიექტზე, რამაც ძალზე ჩამოარჩინა ამ ობიექტების მშენებლობა. დღეისათვის ჯერ კიდევ არ არის დაწყებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები დამამთავრებელი სამი ობიექტის მშენებლობაზე.

1971 წლის 1 ივლისისათვის დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მხოლოდ ორი სასკოლო შენობა 708 მოსწავლე ადგილზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7 სასკოლო შენობისა 1268 მოსწ. ადგილზე.

მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციების მიხედვით მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წლიური გეგმა დამამთავრებელ ობიექტებზე შესრულებული აქვთ:

— საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს 45%-ით (გეგმა 11800.0 ათ. მანეთი, შესრულება 5.322.0 ათ. მანეთი).

— საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს 46%-ით (გეგმა 1688 0 ათ. მანეთი, შესრულება 771.0 ათ. მანეთი).

— საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს 39%-ით (გეგმა 39.0 ათ. მანეთი, შესრულება—15.0 ათ. მანეთი).

საამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც აშენებს ახალციხის სკოლას 28%-ი (გეგმა 163.0 ათ. მანეთი, შესრულება—45.0 ათ. მანეთი).

ჩამორჩება სკოლების მშენებლობა სოფ. სოფ. ნინიგორსა და აფენში (ლაგოდეხის რაიონი), სადაც ექვსი თვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 36,84%-ით, ლენინგორში—11%-ით, სოფ. ლარგვისში (ლენინგორის რ-ნი) 12%-ით, სოფ. ქვედა გორაში

(ვანის რ-ნი)—37%-ით, ბათუმში—25%-ით; სოფ. იამტუხაში (სოხუმის რ-ნი) 16%-ით, ქ. თბილისში—ხილიანისა და გრიშაშვილის ქუჩებზე 27—45%-ით, სოფ. ნინოშვილში (ლანჩხუთის რ-ნი) 35%-ით, სოფ. ქარიატაში (ხობის რ-ნი)—35%-ით, სოფ. ნაფიჩხაოში (ჩხოროწყუს რ-ნი)—26%-ით, ჩოხატაურში—11%-ით, სოფ. კარდანახში (ჯურჯაანის რ-ნი)—35%-ით, სოფ. ღანირში (სამტრედიის რ-ნი)—39%-ით, ახალციხეში—28%-ით და სხვა.

განსაკუთრებით ნელი ტემპით მიმდინარეობს 1971 წელს გასაშვები სკოლა-ინტერნატების საძინებელი კორპუსებისა და სასკოლო ინტერნატების მშენებლობა. ამ ობიექტებზე 1971 წლის გეგმა ექვს თვეში შესრულებულია მხოლოდ 26% (გეგმა 718.0 ათ. მან. შესრულება 189.0 ათ. მან.), მათ შორის: სასკოლო ობიექტებისა აჭარაში—13%, ხიხაძირში—14%, დადეშში—14%; მაიაკოვსკში—38%, ყვარელში—43%, სკოლა-ინტერნატების საძინებელი კორპუსისა ლენინგორში—6%, ხოლო დუისის სასკოლო ინტერნატის და პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმის კორპუსის მშენებლობა, რომელიც დავალებული აქვს საქ. სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 და № 2 ტრესტებს, ჯერაც არ არის დაწყებული. არც ხიზაბავრის სკოლის მშენებლობაზეა განახლებული მუშაობა.

ჩამორჩება სანტექნიკური და ცენტრალური გათბობის მოწყობის სამუშაოები. 1 ივლისისათვის 66 გასაშვებ სკოლიდან 44-ზე ეს სამუშაოები ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს აგრეთვე სასკოლო ობიექტების მშენებლობა გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ო

როგორც ადგილზე ჩატარებული შემოწმებით არის დადგენილი, რიგ სასკოლო მშენებლობის ობიექტებზე ჯერ კიდევ შეინიშნება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების უხარისხოდ და დამტკიცებული ტექნიკური დოკუმენტაციის დარღვევით შესრულების შემთხვევები.

მაგალითად, სკოლების მშენებლობაზე ყველგან არ კეთდება პროექტით გათვალისწინებული რკინა-ბეტონის ლავგარდანები, ფანჯრის ზოლურები, ნაოთხარები და სხვა, ადგილი აქვს ჩაშენებული კარადების პროექტის დარღვევით მოწყობის შემთხვევებს. კარ-ფანჯრები, ხის იატაკები ხშირად ეწყობა იზოლაციის გარეშე. კაპიტალურ კედლებში ყველგან არ კეთდება ცენტრალური გათბობის რადიატორებისათვის ნიშები. ადგილი აქვს უვარგისი რკინა ბეტონის ანაკრეფი კონსტრუქციების გამოყენების შემთხვევებს და სხვა.

ზოგიერთი სასკოლო მშენებლობის ობიექტზე გამოვლინებულია მიწერების შემთხვევები, რომლებიც ამჟამად შესწავლის პროცესშია.

მიმდინარე წელს დასამთავრებელი და ექსპლოატაციაში გადასაცემი სასკოლო ობიექტების მშენებლობის და სიმძლავრეთა ექსპლოატაციაში გადაცემის გეგმების დროულად შესრულების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ეთხოვოს საქართველოს სსრ მშენებლობის, სოფლო მშენებლობის და კომუნალური მეურნეობის მინისტრებს (ამხ. ამხ. გ. ს. ვაშაკიძეს, ი. ა. ხარატიშვილს და ვ. ა. პაატაშვილს) განიხილონ 1971 წელს დასამთავრებელი სასკოლო ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა და მიიღონ საჭირო ზომები ჩამორჩენილ ობიექტებზე მშენებლობის დასაჩქარებლად.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მიმდინარე წელს ექსპლოატაციაში გასაშვები სასკოლო ობიექტების მშენებლობას და უზრუნველყონ მათი დროულად და ხარისხიანად დამთავრება.

2. ეთხოვოს „საქკომპლექტმოწყობილობის“ სამმართველოს უფროსს ამხ. ა. ჩიქოვანს უზრუნველყოს მ/წელს დამამთავრებელი განათლების ყველა ობიექტი საჭირო ელექტრო-კაბელით და ტექნიკური მოწყობილობებით, არაუგვიანეს მიმდინარე წლის 1 აგვისტოსა.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქმრო ტაჟსპეცმშენის“ სამმართველოს უფროსს ამხ. ა. განგიას დაიჩქაროს ელექტრო, სანტექნიკური და ცენტრალური გათბობის მოწყობის სამუშაოები მ/წელს გასაშვები განათლების ობიექტების ყველა მშენებლობებზე არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 აგვისტოსა.

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს განიხილონ საკითხი გასაშვები სასკოლო ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში საკითხი დააყენონ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე საჭირო დახმარების აღმოსაჩენად 1971 წელს დასამთავრებელი და ექსპლოატაციაში გადასაცემი განათლების ობიექტების მშენებლობის დროულად დამთავრებისა და სიმძლავრეთა ექსპლოატაციაში გადაცემის უზრუნველყოფისათვის.

5. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს (ამხ. ს. არველაძე):

ა) ა/წლის 20 აგვისტომდე უზრუნველყოს როგორც სახელმწიფო, ისე არაცენტრალიზებული კაპადაბანდების გეგმით გათვალისწინებული გასაშვები სასკოლო ობიექტები საჭირო ინვენტარმოწყობილობით.

ბ) მოამზადოს საკითხი საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე დასაყენებლად სასკოლო ინვენტარის ხარისხ ს გაუმჯობესებისა და როგორც სკოლამდელი დაწესებულებებისათვის ისე სპორტდარბაზებისათვის საჭირო ინვენტარის დამზადების აუცილებლობის შესახებ;

6. დაევალოს კაპიტალურ და ტექნიკურ ზედამხედველობის განყოფილებებს (ამხ. ამხ. ს. უჩანეიშვილი, ვ. გეგეშიძე):

ა) ა/წლის 10 აგვისტომდე ადგილზე შეამოწმონ გასაშვები სასკოლო ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა და მიიღონ საჭირო ზომები მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის და წამოჭრილი ტექნიკური საკითხების ოპერატიულად გადასაწყვეტად, არ დაუშვან შესრულებული საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე ფარული ნაკლოვანების წარმოშობის არცერთი შემთხვევა.

ბ) მიმდინარე წლის 30 ივლისამდე გადაანაწილონ ფინანსირება იმ ობიექტებზე, სადაც საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები

გადაჭარბებით არის შესრულებული იმ ობიექტების ხარჯზე, რომლებმაც ვერ შეასრულეს გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები და დაავალონ ინჟინერ-ტექნიკოსებს შეადგინონ ადგილებზე ურთიერთ შედარების აქტები მოიჯარადრე მშენებელ ორგანიზაციებთან ერთად.

7. სკოლების მშენებლობის მიმდინარეობისა და გეგმების შესრულების შესახებ მოხსენდეს საქ. კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 23 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1971 წლის 6 აგვისტოს
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტისა

I. საერთო დებულებანი

1. საღამოსა და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი წარმოადგენს განათლების სამინისტროს მეთოდურ დაწესებულებას, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს და მუშაობს მისი ხელმძღვანელობით.

2. მეთოდური კაბინეტი მუშაობს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული კვარტალური გეგმით.

3. მეთოდური კაბინეტი წარმოადგენს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეთოდური მუშაობის ხელმძღვანელობის ცენტრს. იგი აღნიშნულ სკოლებს უწევს მეთოდურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი ამოცანის — წარმოება-დაწესებულებებში დასაქმებული ახალგაზრდობის სწავლებისა და კომუნიზმის იდეების სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

4. მეთოდური კაბინეტი საქმიან კავშირს ახორციელებს სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის მოზრდილთა ზოგადი განათლების ლენინგრადის სამეცნიერო-კვლევით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევით და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებთან.

II. მუშაობის შინაარსი და ძირითადი ფორმები

1. მეთოდური კაბინეტი ადგილებზე ეცნობა და სწავლობს რესპუბლიკის საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საქმიანობას, ეხმარება ამ სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობის სწორ ორგანიზაციაში.

მეთოდური კაბინეტი სწავლობს ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების გახყოფილებების მეთოდური კაბინეტების მიერ საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისადმი მეთოდური ხელმძღვანელობისა და დახმარების მიზნით გაწეულ მუშაობას და აძლევს სათანადო მითითებებს.

2. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სკოლის წინაშე დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად მეთოდური კაბინეტი:

ა) მონაწილეობს და ხელმძღვანელობას უწევს პედაგოგიურ-მეთოდური ხასიათის დამხმარე სახელმძღვანელოების, სასწავლო გეგმების, პროგრამების, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, ოუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და უცხოურ ენებში წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების, საგამოცდო ბილეთების, ჩათვლის წიგნაკების, სასკოლო დოკუმენტაციის, საორგანიზაციო და პროგრამულ-მეთოდური სახელმძღვანელო მასალების შედგენა-დამუშავებას, რასთვისაც საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულებებს დებს ავტორებთან, რეცენზენტებთან, რედაქტორებთან, მთარგმნელებთან, სხვადასხვა ორგანიზაციებთან და აწარმოებს მათთან ანგარიშსწორებას.

ბ) საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს უგზავნის მის მიერ გამოცემულ მეთოდურ მითითებებს, მეთოდურ სახელმძღვანელო მასალებს, მეთოდურ კრებულებს,

პედაგოგიურ-მეთოდური ხასიათის ბროშურებს. განაკვეთებს დაუსწრებელი სკოლებისათვის ცალკეულ საგნებში, საორგანიზაციო მეთოდურ დოკუმენტებს და სხვადასხვა ენიდან ქართულ ენაზე თარგმნილ მეთოდური ხასიათის ლიტერატურას, რისთვისაც მეთოდკაბინეტი ხელშეკრულებებს დებს ცალკეულ ავტორებთან, რედაქტორებთან, რეცენზენტებთან, მთარგმნელებთან, სხვადასხვა ორგანოსთან და აწარმოებს მათთან ანგარიშსწორებას.

3. მეთოდური კაბინეტი მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადების მიზნით აწყობს ამ ტიპის სკოლების მუშაკთა საქალაქო და სარაიონო სემინარებს; ბეჭდავს და სკოლებს უგზავნის მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილების ამსახველ მეთოდურ წერილებს; აწყობს სკოლებისა და ცალკეული მასწავლებლების მოწინავე გამოცდილების ამსახველი მასალების გამოფენას.

4. საოამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და დაუსწრებელი სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლის შედეგს საჭიროების შემთხვევაში განსახილველად უდგენს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

5. მეთოდკაბინეტი ადგილებზე სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს აცნობს პედაგოგიურ საბჭოს და ატარებს ღონისძიებებს, ერთი მხრივ, შემჩნეულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ და, მეორე მხრივ, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების სასკოლო მუშაობის პრაქტიკაში დასანერგად.

6. სწავლობს განათლების განყოფილებათა მიერ გატარებულ ღონისძიებებს ამ ტიპის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ დასაყენებლად.

7. აწყობს სკოლების დირექტორებისა და სასწავლო მუშაობის დარგში მათი მოადგილეების საქალაქო და სარაიონო თათბირებს მოწინავე გამოცდილების განზოგადების მიზნით.

8. მეთოდისტები სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლის შედეგების შესახებ მოხსენებით ბარათს წარუდგენენ მეთოდკაბინეტის დირექტორს.

III. მეთოდკაბინეტის შტატი და ხარჯთაღრიცხვა

1. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის შტატს ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და იგი შედგება დირექტო-

რის, ხუთი მეთოდისტის, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარის, მდივან-მემანქანისა და დამლაგებლისაგან (ერთი საშტატო ერთეული).

2. მეთოდკაბინეტის სათავეში დგას დირექტორი, რომელიც შეირჩევა სახალხო განათლების დარგში მოღუშავე საუკეთესო მუშაკთაგან და ინიშნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

3. მეთოდისტები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობაში, ქიმია-ბიოლოგიაში შეირჩევიან სკოლის მოწინავე, უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მუშაკთაგან, რომელთაც აქვთ საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მუშაობის გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი არანაკლები 5 წლისა.

მეთოდისტებს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

4. მეთოდკაბინეტი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებას, რომელსაც აქვს თავისი ხარჯთაღრიცხვა და ფინანსდება განათლების სამინისტროს მიერ.

5. მეთოდისტებს უფლება აქვთ იმუშაონ სკოლაში, მაგრამ არა უმეტეს 240 საათისა სასწავლო წლის განმავლობაში.

6. საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის დირექტორს ევალება:

ა) კაბინეტის მთელი საქმიანობის ხელმძღვანელობა ერთმმართველობის საფუძველზე;

ბ) კაბინეტის პედაგოგიურ-მეთოდური და მატერიალურ-ფინანსური მუშაობის დაგეგმვა და განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესრულება;

გ) კონტროლის გაწევა და დახმარება რესპუბლიკის საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისადმი მეთოდურ მუშაობაში;

დ) ხელმძღვანელობის, დახმარებისა და კონტროლის განხორციელება მეთოდკაბინეტის თანამშრომელთა მუშაობისადმი;

ე) წლის ბოლოს ანგარიშის წარდგენა განათლების სამინისტროს საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოსათვის ჩატარებული მუშაობის შესახებ;

ვ) ფულადი სახსრების ხარჯვა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში;

ზ) ბუღალტრის, ბიბლიოთეკარის, მდივან-მემანქანისა და დამლაგებლის სამუშაოზე დანიშვნა და განთავისუფლება;

7. მეთოდკაბინეტის დირექტორი, მეთოდისტები და სხვა თანამშრომლები სარგებლობენ შვებულებითა და შეღავათებით, რომლებიც გათვალისწინებულია სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვა მეთოდური კაბინეტებისათვის.

IV. მეთოდკაბინეტის მოწყობა

1. საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების მეთოდკაბინეტი თავისი მოწყობილობით მუშაობის სათანადო პირობებს უქმნის როგორც მასში მომუშავე მეთოდისტებს, ისე სკოლებიდან დასახმარებლად მოსულ მასწავლებლებს.

2. მეთოდკაბინეტთან არსებობს ბიბლიოთეკა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, პედაგოგიური, მეცნიერულ-პოპულარული და მხატვრული ლიტერატურით.

3. მეთოდკაბინეტი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს თავისი ბეჭედი და შტამპი სათანადო წარწერით.

საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის კოლეგიის 1971 წ.
6 აგვისტოს დადგენილებით

მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ

საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი მითითებებით:

1. საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიიღებიან ორივე სქესის 16 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქენი, რომლებიც მუშაობენ წარმოებებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ომისა და შრომის ინვალიდები, აგრეთვე 16 წლამდე ახალგაზრდები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ რვაწლიანი სკოლა და მუშაობენ სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგში.

ა) საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში მოსწავლეთა მიღებისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს III—VIII კლასებში იმ ახალგაზრდობის ჩარიცხვას, რომლებიც დასაქმებული არიან სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში.

2. აკრძალულია 16 წლის ასაკამდე მოსწავლეთა გადაყვანა საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლებში მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დადგენილების გარეშე, ასეთი მოსწავლის საღამოს სკოლიდან გარიცხვა, ზემოხსენებულ კომისიასთან შეთანხმების გარეშე, არ შეიძლება.

3. კატეგორიულად აკრძალულია ყველა ტიპის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლა-გამონაკლისის წესით, ჯანმრთელობის ან ოჯახური პირობების გამო, დღის სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა საღამოს სკოლაში გადასვლა ხდება აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქ. თბილისისა და რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეების ნებართვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ერთი სკოლიდან მეორე სკოლის XI კლასში თუნდაც გამონაკლისის წესით გადაყვანილი წარჩინებული მოსწავლე კარგავს მედლის მიღების უფლებას.

4. საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების XI კლასში იმ ერთეული ახალგაზრდების (17 წლის ასაკის ზევით) მისაღებ გამოცდებზე დაშვების საკითხს, რომელთაც სწავლაში ხანგრძლივი წყვეტის (სამი და მეტი წელი) გამო არა აქვთ საბუთი განათლების შესახებ, წყვეტს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

5. წარმოებაში დასაქმებული და საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული სათანადო საბუთების მქონე ახალგაზრდების საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების XI კლასებში ჩარიცხვას აწარმოებს შესაბამისი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილების გამგე.

6. სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგში მომუშავე რვაწლიანი ან ათწლიანი სკოლის რვაკლასდამთავრებული პირები ჩაირიცხებიან საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების IX კლასში და საშუალო განათლების მისაღებად ისწავლიან კანონით განსაზღვრულ სამ წელს (IX, X, XI კლასები).

7. მასობრივი სკოლების მეცხრე და მეათე კლასების ის მოსწავლეები, რომელთაც რაიმე საპატიო მიზეზის გამო (მუშაობის დაწყება, დაქორწინება და სხვ.) სურთ სწავლა გააგრძელონ საღამოს (ცვლის) ან დაუსწრებელ სკოლებში, ჩაირიცხებიან შესაბამისად მეცხრე და მეათე კლასებში.

დილის სკოლების დამამთავრებელი, მეათე კლასიდან საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების მეთერთმეტე კლასში მოსწავლეთა გადაყვანა კატეგორიულად აკრძალულია.

8. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების IX—XI კლასების მოსწავლეთათვის უცხო ენები არასავალდებულო საგნებია.

9. საღამოსა და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების როგორც დაკომპლექტებელ ისე, ახალგახსნილ კლასებში მოსწავლეთა მიღება წარმოებს ყოველწლიურად, თითოეული სკოლისათვის სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის ფარგლებში

10 სკოლებისა და კლასების დაკომპლექტებისას პირველ რიგში ყურადღება უნდა მ ექცეს საღამოს სკოლების V—VIII კლასების ქსელის გაშლას.

11. სასწავლო წლის დასასრულს სკოლის დირექტორი, მოსწავლეთა რაოდენობისა და შემდეგი სასწავლო წლის კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის საფუძველზე, განსაზღვრავს, რომელ კლასში მოსწავლეთა რა რაოდენობა უნდა იქნეს მიღებული და ამის შესაბამისად აცხადებს სკოლაში მიღებას.

12. სკოლებში ახალი ნაკადის მიღება ცხადდება 25 მაისიდან 31 აგვისტომდე. სწავლებაში ახალგაზრდების ჩასაბმელად სკოლის დირექტორი, წარმოება-დაწესებულებების ადმინისტრაციასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ატარებს ახსნა-განმარტებით მუშაობას, აქვეყნებს განცხადებებს, სარგებლობს ახალგახრდობის კრებებით, ადგილობრივი გაზეთითა და რადიოსატრანსლაციო ქსელით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გამონაკლისის წესით სკოლებს უფლება ექნებათ მოსწავლეთა ჩარიცხვა აწარმოონ სასწავლო წლის პირველ სემესტრში.

13. საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემსვლელი პირი განცხადებასთან ერთად წარადგენს შემდეგ საბუთებს;

ა) სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმულ მოწმობას ან ცნობას განათლების შესახებ;

ბ) ცნობას სამუშაო ადგილიდან·

გ) ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან;

დ) დაბადების მოწმობას;

ვ) ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

ვ) საწარმოს ან დაწესებულების შუამდგომლობას;

14. სკოლაში შემსვლელის განცხადებას და დოკუმენტებს ღებულობს სკოლის დირექტორი ან დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იქ, სადაც არის დაუსწრებელი საშუალო სკოლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი, მოსწავლეთა მიღებას

აწარმოებს პუნქტის გამგე. დაუსწრებელი საშუალო სკოლა ვალდებულია დაამყაროს კონტროლი საკონსულტაციო პუნქტების მიერ მოსწავლეთა ჩარიცხვის საქმეზე მიღების დამთავრების შემდეგ. პუნქტის გამგე 1-ლი სექტემბრისათვის სკოლას უგზავნის სასწავლებელში ახლად ჩაბმულთა დოკუმენტებს და ჩატარებული გამოცდების მასალებს.

15. ის პირები, რომელთაც დამთავრებული აქვთ რვაწლიანი და საშუალო სკოლის IV—I კლასები და მას შემდეგ არ გასულა 3 წელზე მეტი, ჩაირიცხებიან საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების შესაბამის კლასებში უგამოცდოდ.

16. ის პირები, რომელთაც სწავლაში სამ, ან სამ წელზე მეტი წყვეტა აქვთ და სკოლაში შესვლისას განცხადებასთან ერთად ვერ წარადგენენ დოკუმენტს განათლების შესახებ, აბარებენ შესასვლელ გამოცდებს (V—X კლასებში დირექტორის, ხოლო XI კლასში მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით) წინა კლასის პროგრამით. შემდეგ საგნებში:

V—VI კლასებში—მშობლიურ ენაში (წერითი), არითმეტიკაში (ზეპირი);

VII კლასში—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი),

VIII კლასში—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრა-არითმეტიკაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი);

IX—X კლასებში—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი);

XI კლასში—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სკოლებში ამ წესით მიღებული მოსწავლეები ვალდებული არიან გამოსაშვები (VIII და XI) კლასის დამთავრებამდე ჩააბარონ გამოცდები ყველა იმ საგანში, რომლებიც შეიტანება რვაწლიანი განათლების მოწმობისა და საშუალო განათლების ატესტატში.

17. გამოცდების დროს წერითი სამუშაოს სახეები უნდა შედგებოდეს მშობლიურ ენაში—წერითი ნამუშევრებისაგან სათანადო კლასისათვის განკუთვნილი წერითი მუშაობის თემატიკის მიხედვით, მათემატიკაში—VII—VIII—IX—X—XI კლასებში ერთი ამოცანისა და ორი მაგალითისაგან.

18. ზეპირი გამოცდები ტარდება ინდივიდუალური გამოკითხვის წესით.

19. გამოცდების ჩასატარებლად წერითი სამუშაოს ტექსტს, კითხვებს, ამოცანებსა და მაგალითებს ამზადებს შესაბამისი საგნის მასწავლებელი და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

20. გამოცდები ტარდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ცხრილით, ამასთან ჯგუფში ერთ დღეს შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი გამოცდა.

21. საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შემსვლელს თვითეულ საგანში ცდიან სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სათანადო მასწავლებელი და ასისტენტი.

22. გამოცდების შედეგებს იხილავს სკოლის პედაგოგიური საბჭო. შესაბამის კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით და ფორმდება სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლაში ახალმიღებულ თითოეულ მოსწავლეზე უნდა შედგეს პირადი საქმე.

23. ტექნიკუმებისა და სხვა სპეციალური საშუალო სასწავლებლების მოსწავლეები, აგრეთვე ამ ტიპისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებული პირები საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არ მიიღებიან.

24. დღის სკოლებიდან გარიცხული მოსწავლეები საღამოს სკოლაში მიიღებიან გარიცხვის ვადის გასვლის შემდეგ იმ პირობით, თუ ისინი მუშაობენ.

25. ამ მითითებათა გამოცემასთან დაკავშირებით უქმდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 4 აგვისტოს დამტკიცებული მითითებანი საღამოს (ცვლის) ბუმა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ.

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველოს უფროსი ვ. ჩინჩალაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 27 ივლისის ბრძანება № 418

ნორჩ მათემატიკოსთა მეთხუთმეტე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მეთექვსმეტე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ 1970—1971 სასწავლო წელს ნორჩ მათემატიკოსთა მეთხუთმეტე რესპუბლიკური ოლიმპიადის ზონალურ ტურში მონაწილეობა მიიღო 5278 მოსწავლემ, ამათგან 1781 სოფლის სკოლების მოსწავლეებია.

წერითი ნამუშევრების ადგილზე გასწორების შედეგად VI-IX კლასების 3418 მოსწავლიდან დასკვნით ტურზე ზონალური საორგანიზაციო კომიტეტების მიერ დაშვებული იყო 373 მოსწავლე, X კლასების 1860 მოსწავლიდან კი 682 მოსწავლე.

რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა დასკვნით ტურზე დაშვების უფლება მისცა VI—IX კლასის 289 მოსწავლეს, ხოლო X კლასების 600 მოსწავლეს.

დასკვნით ტურში დაბალი მომზადება გამოამჟღავნა სოხუმის 3—6, მე-9, სოხუმის რ-ნის გუმისთის, ოჩამჩირის მე-2, მახარაძის რაიონის ლიხაურის, ლენტეხის სკოლა-ინტერნატის, თბილისის მე-10, მე-4, 30-ე, 37-ე, 47-ე საშუალო სკოლების X კლასების მოსწავლეებმა.

ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეთა შორის თავი ისახელეს ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის, თბილისის 42-ე, 23-ე, 43-ე, 53-ე, 55-ე, 64-ე, 66-ე, 77-ე, ბათუმის 1-ლი, მე-5, მე-2, სოხუმის მე-14, ცხინვალის მე-6, რუსთავის მე-3 საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

§ 1

ოლიმპიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის დაჯილდოებული იქნენ პირველი ხარისხის სიგელით—14 მოსწავლე, მეორე ხარისხის—107, მესამე ხარისხის—451.

§ 2

ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ვლ. ჭელიძე—თბილისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი (თავ-რე).

2. მ. ბებურიშვილი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდისტი (თავ-რის მოადგილე).

3. თ. გეგელია—მათემატიკური საზოგადოების ვიცეპრეზიდენტი, პროფესორი.

4. შ. მეცხოვრიშვილი—თბილისის სახ. უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

5. დ. ავაზაშვილი—ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე, პროფესორი.

6. ი. მეცხვარიშვილი—პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე, დოცენტი.

7. ნ. ლომჯარია—ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი.

8. ვ. კოკელაშვილი—ა. რაზმაძის სახ. მათემატიკური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერმუშაკი, დოცენტი.

8. შ. ბაკურაძე—პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმუშაკი.

10. რ. თავართქილაძე—პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

11. გ. ერაძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი.

12. ვ. მელაძე—თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორი.

12. ო. ღაღანიძე—თბილისის 42-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

13. ა. გამაზოვი—თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის)

ა) ზონალური ტური ჩატარდეს 1972 წლის 27 თებერვალს, მეორე რესპუბლიკური 26 მარტს.

ბ). დაევალოს რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს: კონკრეტულად უხელმძღვანელოს ოლიმპიადის ჩატარებას და პერიოდულად განიხილოს ოლიმპიადის მიმდინარეობის საკითხები.

დროულად ჩაატაროს ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი მუშაობა და რაიონები უზრუნველყოს საჭირო მეთოდური მასალებით.

გ) აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, ს/ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა დროულად გააცნონ მათემატიკის მასწავლებლებს ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება.

მათემატიკური ოლიმპიადის ჩატარებისათვის ადგილზე შექმნან საორგანიზაციო კომიტეტები.

დ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ალ. კვაჭაძე) თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატს 1972 წლისათვის გამოუყოს საჭირო თანხა რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში ოლიმპიადის ჩატარებისათვის.

ე) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატს გამოუყოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო საბეჭდი ქაღალდი.

ვ) აღნიშნული ბრძანება განხილული იქნეს ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე.

ზ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. აკ. ჩხიკვაძე) უხელმძღვანელოს ოლიმპიადის მიმდინარეობას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 9 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წ. 9 ივლისის დადგენილებით

დებულება

ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის შესახებ

1. ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადას ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის ბაზაზე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის, ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების მონაწილეობით, ყოველი წლის სექტემბრიდან მომდევნო წლის აპრილამდე.

2. ოლიმპიადა მიზნად ისახავს გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა მათემატიკაში, გამოავლინოს ნიჭიერი მოსწავლეები, დაეხმაროს სკოლაში მათემატიკის სწავლებას, საწრეო მუშაობას და ამით ხელი შეუწყოს მოსწავლეთა კულტურის ამაღლებას ამ საგანში.

3. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რვაწლიანი და საშუალო სკოლების VIII—X (XI) კლასების მოსწავლეებს, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელებს.

4. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება:

ა) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

ბ) ზონალური კომიტეტები ზონის ცენტრად გამოყოფილ ქალაქებსა და რაიონის განათლების განყოფილებებთან, ზონალური კომიტეტის შემადგენლობაში შევლენ სათანადო სპეციალისტები ზონის ცენტრიდან და აგრეთვე ზონაში შემავალი რაიონებიდან.

ზონალური კომიტეტების შემადგენლობას ამტკიცებს ზონის ცენტრის განათლების კანყოფილების გამგე.

5. ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადა ტარდება ორ ტურად: პირველი—ზონალური, მეორე—რესპუბლიკური, ორივე ტური დასწრებელია. პირველი ზონალური ტური ტარდება ზონის ცენტრში, მეორე—რესპუბლიკური—თბილისში. ზონალურ ტურს ატარებს—ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტი, რესპუბლიკურს კი—რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

ზონალური ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 25 ზონად, ზონების ცენტრებად აღებულია:

1. ქ. თბილისი—თბილისის სკოლების მოსწავლეთათვის;

2. ქ. რუსთავი—ქ. რუსთავის, გარდაბნის და მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

3. ქ. სოხუმი—აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეთათვის;

4. ქ. ბათუმი აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეთათვის;

5. ქ. ცხინვალი—სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის სკოლების მოსწავლეთათვის;

6. ქ. ქუთაისი—ქ. ქუთაისის, ტყიბულის, წყალტუბოს და მაიაკოვსკის რაიონების მოსწავლეთათვის;

7. ქ. სამტრედია—სამტრედიის, ვანისა და წულუკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის,

8. ქ. ზესტაფონი—ზესტაფონის, თერჯოლის და ორჯონიკიძის რაიონების მოსწავლეთათვის;

9. ცაგერი—ცაგერისა და ლენტეხას რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

10. ქ. ფოთი—ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეთათვის;

11. ქ. ცხაკაია—ცხაკაიას, აბაშის, ჩხოროწყუსა და გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

12. ქ. ზუგდიდი—ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხისა და მესტიის რაიონების მოსწავლეთათვის;

13. ქ. ჭიათურა—ჭიათურისა და საჩხერის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

14. ქ. გორი—ქ. გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

15. კასპი—კასპისა და მცხეთის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

16. ქ. ახალციხე—ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

17. ქ. ახალქალაქი—ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

18. ბოლნისი—ბოლნისის და დმანისის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

19. თეთრიწყარო—თეთრიწყაროსა და წალკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

20. ქ. თელავი—თელავის, ახმეტისა და ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

21. ქ. გურჯაანი—გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის და საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

22. ქ. დუშეთი—დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

23. ქ. მახარაძე—მახარაძის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

24. ამბროლაური—ამბროლაურისა და ონის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

25. ქ. თბილისი—რკ/გზის სკოლებისათვის.

6. ზონალური ტური ჩატარდება თებერვალში, რესპუბლიკური—მარტში.

ზონალური ტურის კანდიდატებს, განათლების განყოფილებებთან შეთანხმებით, შეარჩევენ თვით სკოლები იმ მოსწავლეთაგან, რომელთაც აქვთ სათანადო მონაცემები და სურვილი მონაწილეობა მიიღონ მათემატიკურ ოლიმპიადაში.

ამ მოსწავლეთა სიები, შემოწმებული განათლების განყოფილების მიერ, 10 თებერვლამდე უგზავნება ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტს.

7. ორივე ტურის ამოცანებს ადგენს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. ზონალური ტურისათვის დალუქული პაკეტი ამოცანებით ადგილზე მიაქვს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელს, რომელიც მივლინებული იქნება ტურის ჩატარების ხელმძღვანელობისათვის.

8. ზონალური ტურის წერით ნამუშევრებს იბარებს ზონის საორგანიზაციო კომიტეტი, იმავე დღეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელთან ერთად ასწორებს და

ტურში გამარჯვებულთა ნამუშევრებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი კონტროლისათვის უდგენს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს.

9. ოლიმპიადაში მონაწილე VIII—X (XI) კლასების მოსწავლეებს მიეცემათ ხუთ-ხუთი ამოცანა, დრო ამოცანების ამოხსნისათვის განსაზღვრულია 5 ასტრონომიული საათით.

10. ნამუშევრები ფასდება ქულებით. თითოეული ამოცანის სწორი და რაციონალური გზით ამოხსნა შეფასდება ორი ქულით, არასწორი ამოხსნისათვის მონაწილეს ქულა არ ეწერება.

11. ზონალური ტურის მონაწილე VIII—X (XI) კლასების მოსწავლეები, რომლებიც მიიღებენ არანაკლებ 6 ქულისა 10 შესაძლებლიდან დაიშვებიან დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად.

12. ზონალურ ტურში გამარჯვებულ მოსწავლეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი გამოიწვევს თბილისში დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად.

დასკვნით ტურში გამარჯვებული მოსწავლე პირველი ხარისხის სიგელით დაჯილდოვდება იმ შემთხვევაში, თუ ის 10 შესაძლებლიდან დააგროვებს 10 ქულას, მეორე ხარისხის სიგელით— 9 ან 8 ქულას, მესამე ხარისხის სიგელით 7 ან 5 ქულას.

13. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადაში გამარჯვებულებს წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დასაჯილდოებლად.

ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 49. თბილისის ვ. ბ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. განვამტკიცოთ სოფლის სკოლის სასწავლო მატერიალური ბაზა 3
2. საქართველოს სსრ სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ 7
3. დადგენილება—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილება ქ. თბილისის ორჯონიკიძის, საგარეჯოს, თერჯოლის, ლანჩხუთისა და ხაშურის რაიონებში ახალი 1971—1972 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულების მზადების შესახებ 11
4. ბრძანება № 429—თეთრიწყაროს, თიანეთის, კასპის, ყაზბეგის, დმანისისა და ლენტეხის რაიონებში საყოველთაო სავალდებულო 8 წლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ 16
5. ბრძანება № 432—სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ახალი, 1971—1972 სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ 24
6. ბრძანება № 443—სსრ კავშირის განათლების მინისტრის მოადგილის ამხ. თ. პანაჩინის 1971 წ. 16 ივლისის № 48 ბრძანება „მოლდავეთის სსრ სახალხო განათლების სამინისტროს მუშაობის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს სკოლის შესახებ 1966 წლის 10 ნოემბრის დადგენილების შესრულების თაობაზე 26
7. ბრძანება № 430—1971 წელს მუშებისა და მოსამსახურეების ბავშვთა საზაფხულო დასვენების ორგანიზაციის თაობაზე პროფსაბჭოს 1971 წლის 25 მაისის დადგენილებისა და განათლების სამინისტროს 1971 წლის 11 ივნისის ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლების პიონერულ ბანაკებში 35
8. სასწავლო გეგმა—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა-ინტერნატისა სპორტული პროფილით 1971—1972 სასწავლო წლისათვის 3
9. ბრძანება № 431—სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა-ინტერნატის ღებულების შესახებ 42

10. ბრძანება № 415—რესპუბლიკის მუშა-ახალგაზრდობის დაუსწრებელი სკოლების მუშაობის შემოწმების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 27 აპრილის № 227 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ 50
11. დებულება—საქართველოს სსრ საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის კლასის ხელმძღვანელის შესახებ . 57
12. ბრძანება № 409—1970 წლის სახელმწიფო კაპდაბანდებით გათვალისწინებული განათლების ობიექტების მშენებლობის, სიმძლავრეთა ექსპლოატაციაში გადაცემის და 1971 წლის 1 კვარტალის სახელმწიფო გეგმების შესრულების შესახებ 60
13. ბრძანება № 419—რესპუბლიკაში 1971 წელს სკოლების, საბავშვო ბაღებისა და საბინაო მშენებლობის მიმდინარეობისა და გეგმის შესრულების შესახებ 64
14. დებულება—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტისა 70
15. მითითებანი—საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ 75
16. ბრძანება № 418—ნორჩ მათემატიკოსთა მეთხუთმეტე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მეთექვსმეტე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ 80

ЧУ. 20/1

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 14 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/X-71 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5,10

შეკვ. № 1346. УЕ—06191 ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография № 11 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете
Министров ГССР ул. Уш. Чхеидзе № 19